ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 172 (18714) ხუთშაბათი, 28 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲗ სხდომაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მოიწონა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული ღონისძიებანი დასავლეთ საქართველოს რაიონებში 19 და 20 ივლისს კოკისპირული წვიმებით გამოწვეული წყალდიდობის შედეგების ლიკვიდაციისათვის. ღონისძიებანი ითვალისწინებს მოსახლეობისათვის და საწარმოებისა და დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობისათვის ნორმალური პირობების უსწრაფესად აღდგენას, აგრეთვე სახალხო მეურნეობისათვის მიყენებული ზარალის, მაქსიმალურ შემცირებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, რომელმაც განიხილა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი რუსეთის სფს რესპუბლიკაში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების შედეგები, ხაზი გაუსვა მისი მოწყობის მაღალ დონეს და აღნიშნა, რომ ქართული კულტურის მოღვაწეთა შეხვედრები მოსკოვის, ლენინგრადის, სვერდლოვსკის, სტავროპოლის, ვლადიმირის, გეორგიევსკის მშრომელებთან გადაიქცა. რუსი და ქართველი ხალხების მონოლითური შეგობრობისა და ძმობის მკაფიო დემონსტრაციად, გახდა კულტურების ურთიერთგამდიდრების ნაყოფიერი პროცესის ახალი დადასტურება.

გაითვალისწინეს რა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ინტენსიურად ვითარდება რესპუბლიკის საწარმოების, სამინისტროებისა და უწყებების სავაჭრო-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან და გაქტიურდა მუშაობა სპეციალიზებული საერთაშორისო გამოფენების მოწყობისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქ თბილისში საგამოფენო კომპლექსის მშენებლობის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორის ამხ. ნ. გ. ჩერქეზიშვილის ანგარიში სოციალურ-ეკონომიკური მშენებლობის პრობლემათა გაშუქებისათვის რედაქციის მუშაობის დაგეგმვის ორგანიზაციის შესახებ. მოიწონა ამ დარგში რედაქციის მიერ გაწეული მუშაობა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება მიაპყრო იმას, რომ საჭიროა განხორციელდეს ღონისძიებანი, რათა კიდევ უფრო ამაღლდეს გაზეთის, როგორც მშრომელთა კომუნისტური აღზრდისა და ორგანიზატორის, სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების იდეოლოგიური უზრუნველყოფის ქმედითი ინსტრუმენტის როლი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ პარტიული კომიტეტის მდივნის ამხ. ა. მ. თალაკვაძის ინფორმაცია ნაწარმის ტექნიკური დონის ამაღლებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისა და სახელმწიფო ნიშნიანი ხარისხის პროდუქციის მოცულობის გადიდებისათვის მუშაობის შესახებ. რეკომენდებულია წლის დამლევამდე დაამთავრონ ტექნოლოგიური პროცესების ატესტაცია და მისი შედეგები გამოიყენონ პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

მოისმინეს აგრეთვე საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის ამხ. ი. ბ. გამრეკელის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული თეატრების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული დადგენილების შესასრულებლად, და მიზანშეწონილად ცნეს ყოველწლიურად მოეწყოს თეატრების საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების განხილვა რესპუბლიკურ თათბირებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

გეორგიევსკის ტრაქტატის 200 საუკუნოვანი თანაღრიცხვისა და ეროვნების ჯანრთელობის

ᲒᲔᲝᲠᲒᲘᲔᲕᲡᲙᲘᲡ ტრაქტატის 200 წლისთავისათვის მზადების გადამწყვეტი ეტაპი დადგა. ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის ღირსეული შეხვედრისათვის რესპუბლიკის მშრომელებმა საგრძნობლად უმატეს შრომის ტემპს. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ასობით სამრეწველო სანარმოს, ბრიგადის, საამქროს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციის კოლექტივი.

დიდი იუბილეს შესახვედრად ქართველ და რუს ხალხებთან ერთად ემზადება მთელი საბჭოთა კავშირი. დღესასწაულისათვის მზადების პროცესში ჩვენს რესპუბლიკას, როგორც ცნობილია, მრავალმა სამინისტრომ, უწყებამ, ორგანიზაციამ გამოუწოდა ძმური დახმარება ხელი. **ახლაც, ამ დღეებში გამოვიდა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრის ი. დ. სოსნოვის ბრძანება, რომლის თანახმადაც საგრძნობი დახმარება უნდა გაეწიოს ამიერკავკასიის „ტრანსმშენს“.**

ამ დოკუმენტმა აღაფრთოვანა ამიერკავკასიის რესპუბლიკების ტრანსპორტმშენებლები ახალი მიჯნების დასაძლევად, სურვილი აღუძრა მათ უფრო კრიტიკულად გააანალიზონ თავიანთი მუშაობა, რომელშიც, მიუხედავად მეტად საგრძნობი მიღწევებისა, მთელი რიგი ნაკლოვანებებია.

ჯერ კიდევ შარშან, როცა რესპუბლიკაში ის-ის იყო იწყებოდა მოძრაობა რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობისა და ძმობის აქტის ხელმოწერის იუბილესათვის, „ტრანსმშენის“ კოლექტივმა გადაწყვიტა თავისი გარკვეული წვლილი შეეტანა მასში და ივალდებულა მიმდინარე წლის პირველი მაისისათვის დაემთავრებინა თბილისის სასტუმრო „ივერიის“ წინ მდებარე მოედნის რეკონსტრუქცია, აეშენებინა 7160 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საკონტაქტო ქსელის რკინაბეტონის საყრდენების საამქრო, ბაკურიანის საერთაშორისო ახალგაზრდული ბანაკის ცალკეული კორპუსები და სამეცნიერო ობიექტები სოხუმში. სიტყვისთვის მშენებლებს არ უღალატიათ.

— ჩვენს მუშაობას, — ამბობს „ტრანსმშენის“ ტრესტის მმართველი ა. საგანელიძე, — ძირითადად რკინიგზის ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის მიხედვით აფასებენ და ამიტომ ვივალდებულეთ მნიშვნელოვნად დაგვეჩქარებინა მეორე ლიანდაგის დაგება. ამასთან ერთად სწრაფი ტემპით მიმდინარეობს არსებული ხაზის რეკონტრუქცია. ეს კი ნიშნავს, რომ შენდება ახალი სადგურები, ფართოვდება მათი ბაქნები, ინერგება გადასაყვანი ისრების ელექტროცენტრალიზაცია, გაჰყავთ საკონტაქტო ქსელები, კეთდება გადასასვლელი ხიდები და გვირაბები, იგება ელექტროქვესადგურები, რკინიგზელთა ახალი საცხოვრებელი სახლები.

გრძელდება მარაბდა-ახალქალაქის ხაზის გაყვანა, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონების სოციალურ განვითარებაში, გასაკეთებელია რამდენიმე ხიდი, გვირაბი. ვალდებულებები ძალზე პასუხსაგებია, ძალების, მთელ ენერგიის მაქსიმალურ დაძაბვას მოიოხოვს, მაგრამ აუცილებლად უნდა შესრულდეს.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ მოიწონა თავის ბრძანებაში ეს ვალდებულებანი და მოითხოვა, რომ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“, „თბილისგვირაბმშენის“ და ხიდების ტრესტის ხელმძღვანელებმა თავი მოუყარონ ამ ობიექტებზე შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საჭირო რაოდენობას, დადგენილ ვადებში უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უთუო შესრულება.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „გვირაბმეტრომშენის“, ვოლგისპირეთისა და სამხრეთის „რკინიგზამშენის“ და „ხიდმშენის“ მთავარ სამმართველოებს დაევალათ ოპერატიული ‘ დახმარება გაუწიონ საქართველოს ტრანსპორტმშენებლებს.

მინისტრის ბრძანებით ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ კოლექტივს დამატებით გამოეყო 3000 ტონა ცემენტი, 200 ტონა ლითონის ნაგლინი, ორი ექსკავატორი, ავტომაწე და ავტობუსი. შესაბამის ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ სახუროო ნაწარმის, დაუხერხავი ხე-ტყის, გადახურვის რკინაბეტონის ბლოკებისა და სხვა პროდუქციის რიტმული გამოგზავნა.

ზრუნვის, გაწეული დახმარების პასუხად „ტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი ამუშავებს და ნერგავს მშენებლობის ინტენსიურ მეთოდებს, ამრავლებს მიღწევებს, ღირსეულად ხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეს.

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

ᲡᲡᲠ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტრომ მოიწონა თავის ბრძანებაში ეს ვალდებულებანი და მოითხოვა, რომ ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“, „თბილისგვირაბმშენის“ და ხიდების ტრესტის ხელმძღვანელებმა თავი მოუყარონ ამ ობიექტებზე შრომითი და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საჭირო რაოდენობას, დადგენილ ვადებში უზრუნველყონ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა უთუო შესრულება.

სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს „გვირაბმეტრომშენის“, ვოლგისპირეთისა და სამხრეთის „რკინიგზამშენის“ და „ხიდმშენის“ მთავარ სამმართველოებს დაევალათ ოპერატიული ‘ დახმარება გაუწიონ საქართველოს ტრანსპორტმშენებლებს.

მინისტრის ბრძანებით ამიერკავკასიის „ტრანსმშენის“ კოლექტივს დამატებით გამოეყო 3000 ტონა ცემენტი, 200 ტონა ლითონის ნაგლინი, ორი ექსკავატორი, ავტომაწე და ავტობუსი. შესაბამის ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ სახუროო ნაწარმის, დაუხერხავი ხე-ტყის, გადახურვის რკინაბეტონის ბლოკებისა და სხვა პროდუქციის რიტმული გამოგზავნა.

ზრუნვის, გაწეული დახმარების პასუხად „ტრანსმშენის“ ტრესტის კოლექტივი ამუშავებს და ნერგავს მშენებლობის ინტენსიურ მეთოდებს, ამრავლებს მიღწევებს, ღირსეულად ხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის იუბილეს.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ. საცხოვრებელი და საწარმოო შენობების გათბობაზე (დახარჯული თბოენერგიის დაზოგვის საშუალებას იძლევა გათბობისათვის ცხელი წყლისა და ორთქლის მიმწოდებელი ორიგინალური რეგულატორი. სსრ კავშირის ელექტრონული მრეწველობის სამინისტროს სისტემაში შექმნილი ხელსაწყო აღჭურვილია გარე ჰაერის ტემპერატურის გადამწოდებითა და თვითგადამტანით. მათგან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ავტომატურად რეგულირდება სათბობ მილსადენებში მიწოდებული ცხელი წყლისა და ორთქლის რაოდენობა, ამგვარად შეიძლება დაზოგოთ თხუთმეტ პროცენტამდე თბოენერგია. ამჟამად ახალი რეგულატორებით აღიჭურვება არა მარტო დარგის საწარმოები. დაახლოებით ორი ათასი რეგულატორი გადაეცა დედაქალაქის საცხოვრებელ სახლებში დასადგმელად.

ᲩᲘᲛᲑᲐᲘ (ყარაყალპაკეთის ასსრ). ჩიმბაის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „კელესის“ ბიოფაბრიკაში ამუშავდა ტრიხოგრამის წარმოების ახალი ავტომატური ხაზები. ნამცეცა მწერები მავნებლებისაგან დაიცავენ ყარაყალპაკეთის ბამბის პლანტაციებს. ეს მიწათმოქმედებს საშუალებას მისცემს თითქმის ორმოცი პროცენტით შეამციროონ სხვადასხვა ქიმიკატის გამოყენება. სასარგებლო მწერების გაავლენის ზონა ვრცელდება სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებზეც. ამ მიზნით ავტონომიურ რესპუბლიკაში განზრახულია კიდევ ათი ავტომატური ხაზის დამონტაჟება.







ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ. დიდ მუშაობას ეწევიან ეფრემოვის სახელობის ელექტროფიზიკური აპარატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერები, ინჟინრები და მუშები მრეწველობისა და მედიცინის საჭიროებებისათვის დამუტტულ ნაწილაკთა მაჩქარებლების შესაქმნელად.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ: გაერთიანება „იეორის ქარხნის“ ერთ-ერთ საამქროში წარმატებით მუშაობს სახაზო მაჩქარებელ-დეფექტოსკოპი. მისი დახმარებით დეფექტოსკოპისტები ვ. ა. კვარტალნი (მარცხნივ) და ვ. ლ. ალიმოვი აკონტროლებენ ქვეყნის ატომური ელექტროსადგურებისათვის საჭირო ნაკეთობათა შენადუღი ნაკერების ხარისხს.

გვატყობინებენ საკრებულის კორესპონდენტები

ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘᲡ სსრ. ბაიპაზის ჰიდროელექტროსადგურ-ვახშის კასკადის მეექვსე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაზე დაიწყო ლითონის სამოსის რგოლების დასამონტაჟებლად პირველი სატურბინო წყალსატარის მომზადება. ეს პასუხსაგები სამუშაო დაევალა წარჩინებული მშენებლის, სოციალისტური შრომის გმირის მუშაბატ შარიფოვის ბრიგადას. სწრაფი ტემპით, სამუშაოთა საუცხოო ხარისხი ახასიათებს მშენებლობის ყველა უბანს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მიმდინარეობს სატურბინო წყალსატარის ლითონის სამოსის დამონტაჟება.

ᲩᲘᲠᲜᲝᲕᲪᲘᲡ ᲝᲚᲥᲘ. კელმენცის რაიონის სოფელ როსოშანის ცენტრში დგას იმ 67 თანასოფლელთა ძეგლი, რომლებიც არ დაბრუნებულან დიდი სამამული ომიდან. თითქმის ამდენივე ჭა გააკეთა მათმა თანამემამულემ, ომისა და შრომის ვეტერანმა პეტრე ჩაბანმა, რომელიც მექანიზატორად მუშაობს გაზეთ „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობაში. ეს არის მისი ხაჩუქარი არა მარტო სოფლის მცხოვრებთათვის, არამედ ბრძოლაში დაღუპულ თანამემამულეთა ხსოვნაც.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: პ. ჩაბანი თავის პირველ ჭასთან.

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ წელს მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა აღნიშნავს ივანე ფიოდოროვის (1510-1583), განათლების გამოჩენილი მოღვაწის, გარდაცვალების 400 წლისთავს.

1564 წელს მოსკოვში პეტრე მსტისლავცთან ერთად ივანე ფიოდოროვმა გამოუშვა პირველი რუსული ნაბეჭდი წიგნი „მოციქული“.

ლვოვის ივანე ფიოდოროვის მუზეუმში მოდის ათასობით ადამიანი. აქ შეგროვილია ივანე ფიოდოროვის მიერ დაბეჭდილი პირველი წიგნები, აქვეა დაზგაც, რომელზეც იგი წიგნებს ბეჭდავდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: მუზეუმის რესტავრატორი დემიან კრავჩიკი აღადგენს ძველებურ წიგნებს, რომლებიც ადგილს დაიკავებენ ექსპოზიციაში.

ᲙᲐᲛᲔᲠᲝᲕᲘ. საოლქო კლინიკურ საავადმყოფოში მწყობრში ჩადგა კუზნეცკის აუზში ყველაზე დიდი ქირურგიული კორპუსი, რომლის ფართობია 14 ათასი კვადრატული მეტრი. ექიმთა ბრიგადებს ერთდროულად შეუძლიათ შვიდ საოპერაციო დარბაზში აწარმოონ ოპერაციები. სპეციალური სამონიტორო სისტემა მედიკოსებს დაეხმარებათ ოპერაციის მიმდინარეობისას თვალყური ადევნონ პაციენტთა კარდიოგრამას. კლინიკაში მოთავსდა აგრეთვე თირკმელების გადანერგვის ოლქთაშორისი ცენტრი.

ᲮᲐᲑᲐᲠᲝᲕᲡᲙᲘ. სკოლაში აღმზრდელობითი მუშაობისადმი გაზრდილმა მოთხოვნამ გამოიწვია ახალი სპეციალობის გამოჩენა ხაბაროვსკის პედაგოგიურ ინსტიტუტში. აღმზრდელობითი მუშაობის მეთოდიკის განყოფილებაზე მისაღებ კომისიაში პირველი განცხადებები შეიტანეს პიონერხელმძღვანელებმა, ტექნიკუმების კურსდამთავრებულებმა, საბავშვო ბაღების აღმზრდელებმა. უმაღლესი კვალიფიკაციის ახალ სპეციალისტთა მომზადების პროგრამაშია პედაგოგიკის, ლოგიკის, ფსიქოლოგიის, პიონერული და კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაფართოებული კურსები და სემინარები.

535 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

არ შევანელოთ ტემპი!

რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული მონაცემებით, სეზონის დაწყებიდან 27 ივლისისათვის მოკრეფილია 309.301,9 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით წელიწადს 45.619,9 ტონით მეტია მოკრეფილი.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ამინდი კვლავ ქერვეულობს და მეჩაიეებს ხელს უშლის ნორმალურ მუშაობაში, მაგრამ პლანტაციებში მათ შრომა არ შეუნელებიათ, პირიქით, ყოველდღიურად აძლიერებენ მუშაობის ტემპს და წარმატებებსაც აღწევენ. მაგალითად, წლეულს, 26 ივლისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 6124,6 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, შარშან ამ დღეს 5.017 ტონა.

მახარაძის რაიონში სულ მოკრეფილია 51.555 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ზუგდიდში — 43.253, გალში — 29.641, ჭობულეთში — 26.716, ოჩამჩირეში — 24.591, წალენჯიხაში —20.188, ლანჩხუთში — 16.469, ჩხოროწყუში — 15.526, გეგეჭკორში — 13.685, ხელვაჩაურში — 13.522, ჩოხატაურში — 9.244, ცხაკაიაში — 7.036, ხობში — 6.622, წყალტუბოს ზონაში —6.825, ტყიბულის ზონაში — 6.487, წულუკიძეში — 5.351,8, გუდაუთაში — 4.645, სამტრედიაში — 1.873,1, გულრიფშში — 1.770, თერჯოლაში — 1.027,8, ჭიათურის ზონაში — 1.012, ქედაში — 807,2, ვანში — 574, სოხუმში — 483, აბაშაში — 398 ტონა.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲚᲘᲞᲝᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚ ᲓᲠᲝᲨᲐᲡ?

ᲒᲐᲖᲗᲘ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი საჩუქრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ზუგდიდის რაიონის ინგირის ი. ბ. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ბ. ქარჩავა) ის ბრიგადა, რომელსაც ᲕᲔᲚᲝᲓᲘ ᲥᲐᲠᲩᲐᲕᲐ ხელმძღვანელობს. ბრიგადას მაის-ივნისში გეგმა-ვალდებულებით 18,6 ჰექტარი პლანტაციიდან უნდა მოეკრიფა 162 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფა და მრეწველობას ჩაბარა 239,3 ტონა, რაც შარშანდელ შესაბამის პერიოდში მოკრიფილს 41 ტონით აღემატება. დამზადებული ნედლულის 86,6 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘᲡ (საკ. კორ. ვ. ცირეკიძე). საიუბილეოდ დღითიდღე ზრდიან წველადობის ტემპს რაონის მეცხოველეები, თითქმის ყველა ფერმაში იმატა რძის წარმოების მოცულობამ, ექვს თვეში ნაცვლად საგეგმო დავალებით გვაკლისწინებული 6.481 ცენტნერისა მიღებულია 8.122 ცენტნერი რძე, რაც შარშანდელ დონეს 569 ცენტნერით სჭარბობს.

მეცხოველეთა წარმატება

მეტი რძის წარმოებაში ყველას უსწრებს ჩოლურის საბჭოთა მეურნეობა: აქაურმა მეცხოველეებმა წლის დასაწყისიდან უკვე ჩამოწველეს 2526 ცენტნერი რძე, გეგმიურზე 857 ცენტნერით მეტი. ჩოლურელებს ტოლს არ უდებენ ჟანფდერელი მეცხოველეები, რომლებმაც წველადობის ხუთი თვის საგეგმო დავალება 118 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით მიიღეს 255 ცენტნერი რძე.

მნიშვნელოვნად ამაღლდა ძროხების პროდუქტიულობა ჩიხარეშის, ხელედის და ლენტეხის საბჭოთა მეურნეობებშიაც.

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ: ᲬᲔᲚᲘ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ

ᲗᲘᲒᲐᲗᲕᲔᲐ. საკვებდამამზადებლებმაც კარგად იციან ამ თვის ფასი, სწორედ ამ დროს წყვეტენ ხოლმე ზამთრისათვის საკმარისი საკვების მომარაგების პრობლემას. მაგრამ ამგვარ თადარიგს წლეულს რესპუბლიკის ბევრი მეურნეობა ვერ იჭერს. ამის გამოა, რომ შარშანდელთან შედარებით ნაკლებია დამზადებული ყოველგვარი საკვები. პირუტყვის საკვების მომარაგების ხელსაყრელი ამინდები იყო წასულ კვირას, მაგრამ წინა შესაბამის პერიოდთან შედარებით ცოტა ბალახი გაითიბა ქარელის, ადიგენის, ყვარლის, ხაშურის და თერჯოლის რაიონებში, ხოლო სამტრედიის, გეგეჭკორის, ყაზბეგის, ჩხოროწყუს რაიონების მეურნეობებს მთელი კვირის მანძილზე არც ერთი ჰექტარი ბუნებრივი და ნათესი ბალახი არ გუთიბავთ.

მუშაობის ასეთი ტემპით უხეში საკვების დამზადებაში დიდ ჩამორჩენას ვერ დაძლევენ ქარელელი, გეგეჭკორელი და სხვა რაიონების საკვებმომპოვებლე ბი. მოსალოდნელი გვაქვა კი ხელიდან გაშვებული შესაძლებლობის უკან დაბრუნების იმედს არ იძლევა.

ახლა ის დროა, როცა კარგი მეურნე, ამოწურავს რა საკვების დამზადების თვის უმნიშვნელო შესაძლებლობასაც კი, სხვაგან ეძებს მისი დამატებითი დაგროვების რეზერვებს. მაგრამ ბევრგან დიდი შესაძლებლობები იკარგება თავთავიანებისაგან განთავისუფლებულ მიხდვრებში. ასობით ჰექტარზე ნამჯა ღია ცის ქვეშ ყრია და გატანას არ ჩქარობენ ქარელის, საგარეჯოს, გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, თელავის და ახმეტის საზოგადოებრივ მეურნეობებში. ეს იმიტომ ხდება, რომ ისინი კომპლექსურად, იპატივოელთა მაგალითისამებრ არ ახორციელებენ მოსავლის აღების სამუშაოებს, ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ტექნიკის დიდ ჯგუფებად გამოყენებას. ზოგან კი შემაშფოთებელია ტექნიკის მთელი ძალით გამოყენების საკითხი.

ᲕᲘᲜᲪ ᲗᲘᲑᲐᲗᲕᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ ᲘᲪᲘᲡ

მე. სილოსის ასაღები კომბაინების 22,3 პროცენტი შეუკეთებელია და არ მუშაობს ვანის რაიონის მეურნეობებში, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გასარემონტებელია ასეთივე კომბაინების 17,2 პროცენტი. უწესივრობის, მექანიზატორთა შრომის ცუდი ორგანიზაციის გამო 17 ტრაქტორი უქმად დგას ორჯონიკიძის რაიონში, — 92 ტრაქტორი კი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ველ-მინდვრებში გაცხარებულ დროს ტექნიკის გამოყენებისადმი ასეთი მიდგომით ზემოხსენებულ რაიონებში მეცხოველეობას დამკვრელურ ფრონტად ვერ გადააქცევენ.

ეს უწინარესად ყურად უნდა იღონ იმ მეურნეობებმა, რომლებმაც ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმების შესრულებას თავი ვერ გაართვეს. ავიღოთ, მაგალითად, ახმეტის რაიონი, რომლის მეცხოველეებმა 6 თვეში შარშანდელზე 508 ტონით ნაკლები რძე მიპყიდეს სახელმწიფოს. ამ დამფიქრებელი მდგომარეობის გამოსწორებას, თქმა არ უნდა, ახმეტელები ვერ შეძლებენ, თუ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და მინისტრთა საბჭოს წერილის პასუხად ამ ძნელ პირობებში ჩინებული დისციპლინა და ორგანიზებულობა არ გამოიჩინეს საკვების დამზადების საქმეში. მათ, 25 ივლისის მონაცემებით, დამზადებული აქვთ უხეში საკვები —7737 ტონით, თივა — 1251 ტონით და სენაჟი 2675 ტონით ნაკლები, ვიდრე საგეგმო დავალებით არის გათვალისწინებული.

საკვების მომარაგებაში ჩამორჩენის დასაძლევად მეტი მეცადინეობა მართებთ ახალციხელ, გარდაბნელ, დმანისელ, მახარაძელ, ვანელ, ბოლნისელ, მარნეულელ და სხვა რაიონების საკვებმომპოვებლებს.

ახლა საკვებდამამზადებელთა შრომა ერთ მიზანს უნდა დაექვემდებაროს — გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა, რათა მომარაგონ საზოგადოებრივი და პირადი პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის საჭირო მრავალგვარი საკვები.

Თ. ᲙᲐᲡᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲚᲔᲑᲔᲜ ᲐᲡᲝᲠᲢᲘᲛᲔᲜᲢᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივი წარმატებით იბრძვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. აქაურმა მშრომელებმა ექვს თვეში მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 800 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდეს. რეალიზებულია 512 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი.

საწარმოში ზრუნავენ ახალი ასორტიმენტის ქსოვილების ათვისებისათვის, წლის დასაწყისიდან აქ სამი ახალი სახეობის შალის ქსოვილს უშვებენ.

კომბინატში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, შრომაში განსაკუთრებით დაწინაურდა ქარგლების ვ. ქემაშვილის, რ. ორჯონიკიძის, ი. უბრიანოვის, მ. პაპაკიაურის და სხვათა ბრიგადები. მრთველები ზ. ხინთიბიძე, ნ. ვიბლიანი, ᲒᲒ. ჩხაიძე, მქსოველები ნ. რაიბული, დ. კაპანაძე ყოველდღიურ დავალებას მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებენ.

„კომუნისტის“ კორ.

სსრ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘᲡ Მ. Ი. ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ „ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ“ ᲝᲠᲓᲔᲜᲝᲡᲐᲜᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ თეატრალური ხელოვნების განვითარებაში, მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში დამსახურებისათვის და თბილისში წარმატებული გასტროლებისთვის სტავროპოლის მ. ი. ლერმონტოვის სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსანი დრამატული თეატრი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. ᲒᲘᲚᲐᲣᲨᲕᲘᲚᲘ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ᲚᲐᲨᲕᲫᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1983 წლის 27 ივლისი.

სტავროპოლის თეატრის წარმატება

27 ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტში გაიმართა ზეზვედრა სტავროპოლის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან მ. ი. ლერმონტოვის სახელობის დრამის თეატრის კოლექტივთან, რომელიც საგასტროლოდ აჰის ჩამოსული საქართველოს დედაქალაქში. სტავროპოლელმა მსახიობებმა თბილისელებს გააცნეს საბჭოთა, რუსული და დასავლური დრამატურგიის ნაწარმოებთა მიხედვით დადგმული თავიანთი საუკეთესო სპექტაკლები, მათ შორის „ჩინარის მანიფესტი“ ა. ჩხაიძის პიესის მიხედვით. სტავროპოლელთა საგასტროლო სპექტაკლებმა დიდი ინტერესი გამოიწვიეს, მათ გულთბილად შეხვდნენ თბილისელები.

— თქვენი თეატრის გასტროლები, — თქვა სტუმრებთან შეხვედრისას საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კ

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტში

ზენორმატიული ნაშთები დიდ ზარალს იწვევს

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა იმსჯელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIII პლენუმების სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვეს თავიანთი ძალების წარმართვა მმართველობითი პროცესების სრულყოფის, უყაირათობის აღმოფხვრის, მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა განსახორციელებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა განსაზღვრა რესპუბლიკის კონტროლიორთა საქმიანობის გაკეთურების ამოცანები უყაირათობის ყოველგვარ გამოვლინებასთან ბრძოლაში, სახალხო კონტროლის ადგილობრივი ორგანოების კომიტეტებისა და ჯგუფების უყურადღება გაამახვილა ზენორმატიულ, ბანკის მიერ დაუკრედიტებელ სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების შემცირების, სამეურნეო ბრუნვაში მათი მოქცევისადმი კონტროლის გაძლიერების აუცილებლობაზე, რათა შრომელების, სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნათა მაქსიმალურ დაკმაყოფილებაში მიღწეულ იქნეს საბოლოო დადებითი შედეგები.

საწარმოთა და ორგანიზაციათა ცალკეული ხელმძღვანელების უპასუხისმგებლობის გამო წლითიწლობით იზრდება ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი ნაშთები, რაც სახელმწიფოს მნიშვნელოვან მატერიალურ ზარალს აყენებს.

მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი იანვრის მდგომარეობით 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ნაშთები 44,1 მილიონი მანეთით გაიზარდა და 259 მილიონ მანეთს გადააჭარბა, რის შედეგადაც ბევრი საწარმო და ორგანიზაცია მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთი მოიხსნა დაკრედიტებიდან.

ზენორმატიული ნაშთების აღნიშნული რაოდენობიდან მზა პროდუქცია 91,1 მილიონ მანეთს შეადგენს, ნედლეული და მასალები — 72,6 მილიონ მანეთს, ხოლო დაუმთავრებელმა სამრეწველო წარმოებამ და მშენებლობამ 40 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

განსაკუთრებით დიდი ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ნაშთები აქვთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (37,7 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს (24,0 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს (11,3 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს (9,7 მილიონი მანეთი), საქართველოს სსრ მეღვინეობის მრეწველობის კომიტეტს (8,3 მილიონი მანეთი) და სხვ.

მატერიალურ ფასეულობათა დიდი ზენორმატიული ნაშთები აქვთ აგრეთვე საქართველოს სსრ სასაქონლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს.

ზენორმატიული ნაშთები უყაირათობის მრავალი გამოვლინების კონცენტრირებული მაჩვენებელია. როგორც ანალიზიდან ჩანს, მათი წარმოშობის ძირითადი მიზეზებია სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევები, ნომენკლატურული გეგმების ჩაშლა, უხარისხო და გაუსავლიანი პროდუქციის გამოშვება, ნედლეულისა და მასალების ნორმატივების გადამეტებით და აგრეთვე არასაჭირო მატერიალურ ფასეულობათა შემოზიდვა, მშენებარე ობიექტების დროულად ჩაბარებლობა და სამუშაოთა უხარისხოდ შესრულება. ხშირად ზენორმატიული ნაშთების უზუსტო მაჩვენებლების მიღმა იჩქმალება წამატებათა და თვალის ახვევის, სოციალისტური საკუთრების დატაცებათა ფაქტები და სხვა ნეგატიური მოვლენები. ყოველივე ეს მოითხოვს მათი ლიკვიდაციისა და სამეურნეო ბრუნვაში ჩართვისათვის სახალხო კონტროლის ორგანოთა ბრძოლის გამაცრებას.

ამასთან ერთად, როგორც კომიტეტის სხდომაზე აღინიშნა, რესპუბლიკური კომიტეტის დარგობრივი განყოფილებები, რეგიონალური და საწარმოო კომიტეტები და ჯგუფები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არ ეწევიან სისტემატურ მუშაობას, მთლიანად არ იყენებენ მინიჭებულ უფლებებს კონტროლის გაძლიერების, სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე ეფექტიანი ზემოქმედების საქმეში მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისა და სახელმწიფო წესრიგის დამყარებისათვის.

კომიტეტმა დაამტკიცა უყაირათობასთან, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების შემცირებისათვის ბრძოლაში რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოთა მიერ გაწეული მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა გეგმა.

კომიტეტის გადაწყვეტილებით საქართველოს სსრ მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მიმდინარე წლის აგვისტოში რესპუბლიკაში ეწყობა ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების დათვალიერება, რომელიც მოეწყობა სამრეწველო საწარმოებში, სამშენებლო ორგანიზაციებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამასთან დაკავშირებით სამინისტროებში, უწყებებში, გაერთიანებებში, ტრესტებში, სამშენებლო სამმართველოებში, მოძრავმექანიზებულ კოლონებში, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მომმარაგებელ ორგანიზაციებში უნდა შეიქმნას დათვალიერების შტაბები — სამინისტროებში მინისტრის მოადგილის, ხოლო ქვეგანაყოფებში — მათი ხელმძღვანელების თავმჯდომარეობით.

დათვალიერების პროცესისა და მისი შედეგების შეჯამების დროს საჭიროა დაისახოს და განხორციელდეს სათანადო ღონისძიებანი ზენორმატიული, ბანკის მიერ დაუკრედიტებელი მატერიალურ ფასეულობათა ნაშთების მოცულობის დადგენილ ნორმატივებამდე შესამცირებლად, ხოლო იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტა საჭიროებს ზემდგომი ორგანოების ჩარევას, შეიტანონ შესაბამისი წინადადებანი.

დათვალიერების შედეგებზე საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტს უნდა ეცნობოს 1983 წლის 10 სექტემბრისათვის.

ᲤᲧᲐᲚᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲠᲯᲗᲐ ᲨᲔᲜᲓᲐ

ᲩᲣᲮᲩᲣᲮᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲠᲒᲝᲓᲐ...

ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ ქართული ტაბილი საგალობელი? „ჩუხჩუხით ჩამორბოდა“.. და ა. შ. ეს წყაროზეა ნათქვამი, სულისშამთქმელ, მაცოცხლებელ წყალზე. ამ სიმღერას ხალხი დიდი ხანია სიამოვნებით მღერის, მაგრამ, აბა რა სასიამოვნო, სასიმღერო განწყობაზე დადგებოდნენ „თბილისწყალკანალიზაციის“ საწარმოო გაერთიანების სახალხო კონტროლიორები, როცა თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანებაში ჩამრეცხი აგზებიდან და დაზიანებული ონკანებიდან მოჩუხჩუხებდა სასმელი წყალი. იანვარიშეს და დაასკვნეს, რომ აქ დღე-ღამეში 50 ათასამდე ლიტრი სანუკვარი წყალი იკარგება ტყუილ-უბრალოდ, რაც საწარმოს კაპიკები რიდი უჯდება. ამას კი გაერთიანების დირექტორი ე. კუბალაშვილი და მთავარი მექანიკოსი ვ. აბაშიძე გულდამშვიდებულნი შეჰყურებდნენ.

არც მაინცდამაინც გაერთიანება „თბილისღვინოს“ მეორე საწარმოში (დირექტორი — გ. ასათიანი) უფრთხილდებოდნენ სასმელ წყალს. აქ დაზიანებული ონკანიდან 15 ათას ლიტრამდე წყალი იკარგებოდა.

ცივ-ცივი ბულაჩაურისა თუ ნატახტარის ნაკადულები მოწყურებოდნენ გაერთიანება „თბილისპორის“ მე-7 მექანიკურ თონესა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონ „ენძელაში“.

ვინ იცის, რამდენჯერ შეუწუხებიათ 66-ე, 67-ე და 68-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების უფროსები გ. გლოველი, გ. შაიშმელაშვილი და ვ. კალაჯიევი მცხოვრებლებს — ჩვენს ბინებში ონკანები დაზიანებულია და მოგვხედეთო, ამაოდ ელოდნენ ზეინკალს, წყალი კი მოჩუხჩუხებდა. სახალხო კონტროლიორების მიერ შემოწმებული 386 ბინიდან 100 ბინაში დაზიანებული აღმოჩნდა 38 ონკანი და 87 ჩამრეცხი აგზა. ალბათ დღე-ღამეში 420 ათას ლიტრამდე უმიზნოდ დაღვრილი წყალი რომ შეგვეგროვებინა და მისთვის 65-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის ზონაში დაღვრილი წყალიც დაგვემატებინა, ნაკადულად კი არა, მდინარედ მოქუხდებოდა.

სტატისტიკის მოყვარულებმა იანვარიშეს და დასკვნეს, რომ სულ დედაქალაქის კალინინის რაიონში დღე-ღამეში უმიზნოდ დაღვრილი ნახევარ მილიონ ლიტრამდე წყალი დაანლოებით 2 ათას მოსახლეს ეყოფოდა.

კალინინის რაიონის სახალხო კონტროლის კომიტეტმა მკაცრად იმსჯელა წყლის უყაირათოდ მხარჯველებზე და საკადრისადაც დასაჯა ისინი.

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მთავარ მექანიკოსს ვ. აბაშიძეს გამოეცხადა საყვედური და სახელმწიფოსადმის მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ასანაზღაურებლად დაერიცხა ნახევარი თვის თანამდებობრივი განაგებეთის შესაბამისი თანხა.

საყვედურები და ითთო თვის ხელფასის შესაბამისი თანხის დარიცხვა დაიმსახურეს 65-ე და 67-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების უფროსებმა ნ. რობაქიძემ და გ. შაიშმელაშვილმა.

მკაცრად გაკიცხულნი „თბილისღვინოს“ მე-2 საწარმოს მთავარი მექანიკოსი ტ. ბაქრაძე, გაერთიანება „თბილისპორის“ მე-7 მექანიკური თონის გამგე ლ. ბოლქვაძე და საყოფაცხოვრებო მომსახურების სალონ „ენძელას“ დირექტორი ო. რჩეულიშვილი.

უფრო ადრე კი ანალოგიური დაოვლეებინთვის 66-ე და 68-ე საბინაო-საექსპლოატაციო კანტორის უფროსებს გ. გლოველსა და ვ. კალიჩევს თბილისის სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტმა გამოუცხადა საყვედური და დაარიცხა თითო თვის ხელფასის შესაბამისი თანხა.

Თ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორი.

ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲗ

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲤᲮᲘᲖᲔᲚᲘ ᲗᲕᲐᲚᲘ

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ № 189

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

ᲛᲐᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲘ

ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲘ

ჩვენი საუბარი სახალხო კონტროლიორთა მეთოდიკურ კაბინეტში გაიმართა. საქმის ვითარებას გვაცნობდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი, სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაზარაშვილი. იგი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში დიდხანს უძღვებოდა „კომკავშირული პროუექტორის“ შტაბს, საკონტროლო მუშაობის თვალსაჩინო გამოცდილება შეიძინა და ფართოდ იყენებს მას მეთაური ჯგუფის საქმიანობაში.

— მარტო ელმავალსაშენებელ ქარხანაში, — ამბობს მ. მაზარაშვილი, — 4 ათასი კაცი მუშაობს. აქ მოქმედებს სახალხო კონტროლის ერთი მეთაური ჯგუფი, 35 ჯგუფი და 48 საგუშაგო, რომლებიც 510 კონტროლიორს აერთიანებენ. დავალებათა შესრულების კონტროლის სექტორებს უძღვიან ნ. ზაკალიშვილი, მ. გიორგანაშვილი, რ. სეფისკვერაძე, ზ. ზამბახიძე, ჯ. გაგნიძე ა. გაფრინდაშვილი, ო. გაბუნია.

ვეცნობით მასალებს გაწეულ მუშაობაზე. ეი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევა მეთაური ჯგუფი შავი და ფერადი ლითონების, ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვისა და მასალათა გამოყენება-შენახვის სისტემატური კონტროლისათვის.

— წლის პირველ ნახევარში კონტროლიორებმა შეისწავლეს რამდენიმე საკითხი. შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შედეგად დაიზოგა 273 ტონა შავი და ფერადი ლითონი, 157 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია (შარშან კი უშუალოდ კონტროლიორებმა 479 ტონა შავი და ფერადი ლითონის, 249 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია გასწიეს).

— კონტროლიორები ცდილობენ პირადად უჩვენონ შეგებებული დისციპლინის განმტკიცების, ნოვატორული მუშაობის მაგალითი. 80 კონტროლიორი გამომგონებელი და რაციონალიზატორია, მათ შორის უნდა გამოვყოთ ავთანდილ ყელაურიძე და ალექსანდრე ანდრიუშენკო. მათ მიერ დანერგილ წინადადებათა შედეგად სულ უფრო იზრდება ეკონომიკური ეფექტი.

შავი და ფერადი ლითონების მომჭირნე ხარჯვა-შენახვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა წლევანდელი გეგმა, რომელიც კონტროლიორებმა შეიმუშავეს, ითვალისწინებს წევის ძრავის ლუზის დატვირთვით მიღებული ნარჩენების გამოყენებას, მექანიკური დამუშავების ნორმების შემცირებას, ფურცლოვანი მასალის რაციონალური გამოჭრის დანერგვას, ელმავლის, ელექტროშტაბელერისა და ელექტროკოჭსმჭრობის კონსტრუქციების შემსუბუქებას და სხვ. ამ ღონისძიებათა განხორციელების სისტემატური კონტროლი ეწევა.

— კონტროლიორები ნაყოფიერად მუშაობენ ტარის გაგზავნის, ვაგონების მოცდენის, სამანევრო ლოკომოტივების მუშაობის, პროდუქციის დროული მიწოდების, უხარისხო პროდუქციის გაგზავნის აღკვეთისა და სხვა საკითხებზე. მათი წინადადებების განხილვიელებით მკვეთრად გაუჯობესდა ტარის გაგზავნა (თუ ტარას დროზე არ დააბრუნებს, საამქრო მასალას ვერ მიიღებს), ვაგონების მოცდენა უკვე საშუალოზე დაბალია (თვეში 2,4-3,5 საათი), უზრუნველყოფილია სამანევრო ლოკომოტივების სრული მზადყოფნა (ხუთიდან სამი ყოველთვის გამართულად მუშაობს), წლის პირველ ნახევარში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებამ 59,6 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 54 პროცენტისა. ამ საკითხების მოგვარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ა. გაგოშიძემ, თ. არაქელოვმა, თ. ლურსმანაშვილმა, ლ. გოგოლაძემ, ე. მამამთავრიშვილმა, ნ. მახათაძემ.

მაგრამ მ. მახარაშვილს სავსებით სწორად მიაჩნია, რომ სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გასაძლიერებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მას ხელთ აქვს ნახევარი წლის მონაცემები: მომწოდებლებისათვის ტარის დროულად დაუბრუნებლობის გამო ჯარიმამ 31.268 მანეთი შეადგინა (შარშან მთელი წლის მანძილზე იგი 34 ათას მანეთს შეადგენდა), ვაგონების მოცდენის გამო ჯარიმა 2000 მანეთს აღწევს, პროდუქციის დროულად მიუწოდებლობისა და უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის — 74.000 მანეთს. უმიზნოდ გაცდენებმა 1.623 კაცდღე შეადგინა (გასულმა წელმა 5.681 კაც-დღის გაცდენა დაგვიტოვა), რაც 78.690 მანეთის დანაკარგის ტოლფასია.

შეიმჩნევა დადებითი ტენდენციებიც: თუ შარშან ლითონის ჯართის გეგმის შეუსრულებლობისათვის ელმავალშენებლებმა 6000 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს; წლეულს ისინი გეგმას გადაჭარბებით ასრულებენ და ჯარიმებს თავი დაანწიეს, ექვს თვეში ჩაბარეს 2925 ტონა შავი და ფერადი ლითონი. ყოველდღიური რეიდების შედეგად მკვეთრად იკლო დაგვიანებებმა, სამუშაო დროის არარაციონალურად გამოყენებამ. ამ საქმეში თვალსაჩინო როლს ასრულებს ფურცელი „განგაში“, სადაც კონტროლიორები ამხილებენ და კიცხავენ დამგვიანებლებს.

ეს წარმატებანი ემყარება წინა წლებში კონტროლიორთა მიერ შეძენილ გამოცდილებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმების ჯადაწყვეტილებათა შესაბამისად საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენებელში“ სახალხო კონტროლიორები კიდევ უფრო აძლიერებენ თავიანთ საქმიანობას. კონტროლიორთაგან ბევრია აგიტატორი, პოლიტინფორმატორი, პროპაგანდისტი. ბევრი ღრმად ჩაფიქრა მრავალტირაჟიანის ფურცლებზე ამოკითხულმა ინფორმაციამ: „შარშან უმიზეზო გაცდენებმა 5681 კაც-დღე შეადგინა. ეს 262 ათასი მანეთია, ანუ ერთი „ვლ-11“ მაგისტრალური ელმავლის ღირებულება. აი, თურმე, რა კოლოსალურ ზარალს აყენებენ გამცდენები საწარმოს.

ელმავალმშენებელი კონტროლიორები საწარმოო გეგმების შესრულების, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა და მოძმირნეობის რეჟიმის დაცვისათვის მიღებულ ღონისძიებათა განხორციელების შემოწმებისას სულ უფრო მეტად იჩენენ გერგილიანობას და აფართოებენ თავიანთ თვალსაწიერს.

Ლ. ᲧᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲙᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

ᲡᲐᲘᲛᲔᲓᲝ, ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲐ

დედაქალაქის გლდანის რაიონის სამრეწველო, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებმა, რომლებიც იბრძვიან სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, წარმატებით შეასრულეს მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი ორი წლის დავალებანი რაიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა მიმართულებით. თავდადებული შრომის შედეგად ახალ ხუთწლედში რაიონი ყოველწლიურად გამარჯვებული გამოდის რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. 1983 წლის პირველი ნახევრის შედეგებიც სასიხარულოა, ყველა სამრეწველო და სამშენებლო ორგანიზაციამ წარმატებით შეასრულა სახელმწიფო გეგმა. ამ მიღწევებში ჩვენი რაიონის სახალხო კონტროლის ორგანოების თვალსაჩინო წვლილიც არის:

დღეს რაიონში ძნელად მოიძებნება სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ისეთი უბანი, სადაც არ იგრძნობოდეს სახალხო კონტროლიორთა გავლენა. ყოველ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში შექმნილია და მოქმედებს სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები. ამჟამად 257 ჯგუფი გვყავს, მათგან 132 — მეთაური ჯგუფია. მათში გაერთიანებულია 2622 სახალხო კონტროლიორი. ისინი აქტიურად ეხმარებიან რაიონის პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს წარმოების რეზერვების გამოვლენასა და ამოქმედებაში, კოლექტივებში ნაკლოვანებებისადმი, უყაირათობის, მფლანგველობის, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევის ფაქტებისადმი შეურიგებლობის ვითარების შექმნაში. შეიმუხვევთი როდი, რომ სახალხო კონტროლიორები ჩვენს საიმედო და მებრძოლ თანაშემწეებად მიგვაჩნია.

დასახული ამოცანების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება თვით სახალხო კონტროლიორების აქტიურობისა და ინიციატივიანობის დონეს. ამ მიზნით სახალხო კონტროლის კომიტეტს შემოშავებული აქვს ჯგუფებისა და საგუშაგოებისადმი ხელმძღვანელობის გარკვეული სისტემა, რომელიც თანდათანობით სრულყოფილი ხდება. კომიტეტი თანამიმდევრულად ცდილობს, რომ სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები თავიანთ მუშაობას აგებდნენ კოლექტიურობისა და ფართო საჯაროობის საფუძველზე, უფრო სრულად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს. კომიტეტი სულ უფრო ფართოდ აბამს შემოწმებებში სახალხო კონტროლიორთა აქტივს, რისთვისაც მიზანმიმართულად იყენებს თავის შტატგარეშე განყოფილებებს. კონტროლიორი რაიონული კომიტეტი სისტემატურად აანალიზებს შტატგარეშე ინსპექტორების მუშაობას, მატერიალურად და მორალურად წაახალისებს მათ; პარტიის რაიკომი კი ყურადღებით განიხილავს სახალხო კონტროლიორების მუშაობას, უპირატოო, ყველაზე აქტიურ კონტროლიორებს, კომიტეტისა და მშრომელთა კოლექტივების რეკომენდაციით, ვიღებთ სკკპ რიგებში. ახლახან სკკპ წევრობის კანდიდატად მივიღეთ საფეიქრო მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ლ. კუპუაშვილი, ხოლო კერამიკული კომბინატის კოლექტივი პარტიაში მისაღებად ამზადებს სახალხო კონტროლის აქტივისტს ნ. ლაბაძეს.

თუმცა აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ზოგმა ინსპექტორმა ვერ გაამართლა დიდი ნდობა, რამაც ჩვენ ვიხილავთ ორგანიზაციათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების სერიოზულ შეცდომას. ისინი მთელი პასუხისმგებლობით უნდა მიუდგნენ სახალხო კონტროლის ორგანოებში სამუშაოდ კადრების რეკომენდების საკითხს.

შეიძლება ითქვას, რომ ორგანიზებულად, მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, მშრომელთა ფართო მონაწილეობით, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, პარტიული ორგანიზაციების აქტიური ხელმძღვანელობით გაიმართა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საგუშაგოების ანგარიშგება-არჩევნები. პარტიის რაიკომმა განიხილა როგორც ამ დიდმნიშვნელოვანი კამპანიისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხი, ისე მისი შედეგები. სახალხო კონტროლიორთა კრებების დიდ უმრავლესობაში მონაწილეობდნენ პარტიის რაიკომის ბიუროს წევრები, რაიკომის თანამშრომლები. თავის მხრივ სახალხო კონტროლის რაონულმა კომიტეტმა გულისყურით განიხილა საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ჯგუფებისა და საგუშაგოების სტრუქტურა, იმის მიხედვით, რომ ისინი ყველგან თავიანთი საქმიანობით უპასუხებდნენ კონტროლის გაძლიერების მოთხოვნებს წარმოების, მართვის, მომსახურების ყველა უბანზე.

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად გულმოდგინედ შეერჩა ჯგუფებსა და საგუშაგოებში ნაარჩევი კანდიდატურები. იმდაგვარად, რომ აუცილებლად შეგვენარჩუნებინა ყოფილი შემადგენლობიდან აქტიური ბირთვი და შეგვეკვსო ახლით, სახალხო კონტროლის ორგანოებში მუშაობისათვის ღირსეული და ზედმოწევნით შესაფერისი ადამიანებით. ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის შედეგების მიხედვით ჯგუფებისა და საგუშაგოების შემადგენლობა 49,2 პროცენტით განახლდა.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ჯგუფების ხელმძღვანელობის პარტიული აქტივისტებით განმტკიცებას. ამჟამად ჯგუფების თავმჯდომარეთა შემადგენლობიდან 37,1 პროცენტი პარტორგანიზაციათა მდივნების მოადგილეები არიან, ხოლო 55,3 პროცენტი — პირველადი ორგანიზაციის პარტიული კომიტეტებისა და ბიუროების წევრები.

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დროს რაიონის მშრომელთა კოლექტივებმა ფართოდ აიტაცეს ტრაკტაჟის თეთრეულის სწარმოო გაერთიანების მეთაური ჯგუფის თაოსნობა — ყოველთვიურად მოეწყოს „სახალხო კონტროლიორთა დღე“. პარტიის რაიკომის ბიურომ მოიწონა ეს ინიციატივა. სახალხო კონტროლის კომიტეტმა სწორი და დროული რეაგირება მოახდინა სახალხო კონტროლიორთა აქტუალურ წამოწყებაზე და გადაწყვიტა—ასეთი ღონისძიება ყოველთვიურად გაიმართოს რაიონული მასშტაბით.

ასეთმა წამოწყებამ გააქტიურა სახალხო კონტროლიორები. წლის პირველი ნახევრის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ რაიონის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს. 5 ასეთი „დღის“ გაწმავლობაში დაიზოგა 585 კილოვატსაათი ელექტროენერგია, 64,2 პირობითი ტონა საბობინი, 85 კუბური მეტრი ხე-ტყე, 280 კუბური მეტრი წყალი და სხვ. და რაც მთავარია, ამ დღეებში მინიმუმამდე შემცირდა ვაგონების მოცდენა.

ჩვენი აზრით, აქ მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ მოპოვებულია გარკვეული ეკონომიკური შედეგები, არამედ ისიც, რომ ბევრად ამაღლდა სახალხო კონტროლიორთა აქტიურობა, მოვალეობის შესრულებისადმი პასუხისმგებლობა, მთდამი ნდობა და პატივისცემა. თუ წინათ იყო შემთხვევები, როცა ორგანიზაციებში სახალხო კონტროლიორებს ვერც კი ცნობდნენ, ახლა მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. მათ არა მარტო ცნობენ, არამედ ყურად იღებენ მათს შენიშვნებს, რჩევას, რეკომენდაციებს. ისინი ხომ ამ ერთიან დღეს თავიანთ უბნებზე მთავარ პასუხისმგებელ მუშაკებად გვევლინებიან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ „სახალხო კონტროლიორთა დღეების“ გამართვა არის როგორც შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, ისე სახალხო კონტროლიორთა საქმიანობის შემდგომი გაღრმავების ერთ-ერთი ეფექტიანი ფორმა.

ᲛᲐᲗᲘ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲬᲘᲔᲠᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ საუბარი სახალხო კონტროლიორთა მეთოდიკურ კაბინეტში გაიმართა. საქმის ვითარებას გვაცნობდა სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს ინჟინერი, სახალხო კონტროლის მეთაური ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ მაზარაშვილი. იგი თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელ ქარხანაში დიდხანს უძღვებოდა „კომკავშირული პროუექტორის“ შტაბს, საკონტროლო მუშაობის თვალსაჩინო გამოცდილება შეიძინა და ფართოდ იყენებს მას მეთაური ჯგუფის საქმიანობაში.

— მარტო ელმავალსაშენებელ ქარხანაში, — ამბობს მ. მაზარაშვილი, — 4 ათასი კაცი მუშაობს. აქ მოქმედებს სახალხო კონტროლის ერთი მეთაური ჯგუფი, 35 ჯგუფი და 48 საგუშაგო, რომლებიც 510 კონტროლიორს აერთიანებენ. დავალებათა შესრულების კონტროლის სექტორებს უძღვიან ნ. ზაკალიშვილი, მ. გიორგანაშვილი, რ. სეფისკვერაძე, ზ. ზამბახიძე, ჯ. გაგნიძე ა. გაფრინდაშვილი, ო. გაბუნია.

ვეცნობით მასალებს გაწეულ მუშაობაზე. ეი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა საქმიანობას ეწევა მეთაური ჯგუფი შავი და ფერადი ლითონების, ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვისა და მასალათა გამოყენება-შენახვის სისტემატური კონტროლისათვის.

— წლის პირველ ნახევარში კონტროლიორებმა შეისწავლეს რამდენიმე საკითხი. შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების შედეგად დაიზოგა 273 ტონა შავი და ფერადი ლითონი, 157 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია (შარშან კი უშუალოდ კონტროლიორებმა 479 ტონა შავი და ფერადი ლითონის, 249 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია გასწიეს).

— კონტროლიორები ცდილობენ პირადად უჩვენონ შეგებებული დისციპლინის განმტკიცების, ნოვატორული მუშაობის მაგალითი. 80 კონტროლიორი გამომგონებელი და რაციონალიზატორია, მათ შორის უნდა გამოვყოთ ავთანდილ ყელაურიძე და ალექსანდრე ანდრიუშენკო. მათ მიერ დანერგილ წინადადებათა შედეგად სულ უფრო იზრდება ეკონომიკური ეფექტი.

შავი და ფერადი ლითონების მომჭირნე ხარჯვა-შენახვის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა წლევანდელი გეგმა, რომელიც კონტროლიორებმა შეიმუშავეს, ითვალისწინებს წევის ძრავის ლუზის დატვირთვით მიღებული ნარჩენების გამოყენებას, მექანიკური დამუშავების ნორმების შემცირებას, ფურცლოვანი მასალის რაციონალური გამოჭრის დანერგვას, ელმავლის, ელექტროშტაბელერისა და ელექტროკოჭსმჭრობის კონსტრუქციების შემსუბუქებას და სხვ. ამ ღონისძიებათა განხორციელების სისტემატური კონტროლი ეწევა.

— კონტროლიორები ნაყოფიერად მუშაობენ ტარის გაგზავნის, ვაგონების მოცდენის, სამანევრო ლოკომოტივების მუშაობის, პროდუქციის დროული მიწოდების, უხარისხო პროდუქციის გაგზავნის აღკვეთისა და სხვა საკითხებზე. მათი წინადადებების განხილვიელებით მკვეთრად გაუჯობესდა ტარის გაგზავნა (თუ ტარას დროზე არ დააბრუნებს, საამქრო მასალას ვერ მიიღებს), ვაგონების მოცდენა უკვე საშუალოზე დაბალია (თვეში 2,4-3,5 საათი), უზრუნველყოფილია სამანევრო ლოკომოტივების სრული მზადყოფნა (ხუთიდან სამი ყოველთვის გამართულად მუშაობს), წლის პირველ ნახევარში ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვებამ 59,6 პროცენტი შეადგინა, ნაცვლად 54 პროცენტისა. ამ საკითხების მოგვარებაში თვალსაჩინო წვლილი შეიტანეს ა. გაგოშიძემ, თ. არაქელოვმა, თ. ლურსმანაშვილმა, ლ. გოგოლაძემ, ე. მამამთავრიშვილმა, ნ. მახათაძემ.

მაგრამ მ. მახარაშვილს სავსებით სწორად მიაჩნია, რომ სახალხო კონტროლიორთა მუშაობის გასაძლიერებლად ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. მას ხელთ აქვს ნახევარი წლის მონაცემები: მომწოდებლებისათვის ტარის დროულად დაუბრუნებლობის გამო ჯარიმამ 31.268 მანეთი შეადგინა (შარშან მთელი წლის მანძილზე იგი 34 ათას მანეთს შეადგენდა), ვაგონების მოცდენის გამო ჯარიმა 2000 მანეთს აღწევს, პროდუქციის დროულად მიუწოდებლობისა და უხარისხო პროდუქციის მიწოდებისათვის — 74.000 მანეთს. უმიზნოდ გაცდენებმა 1.623 კაცდღე შეადგინა (გასულმა წელმა 5.681 კაც-დღის გაცდენა დაგვიტოვა), რაც 78.690 მანეთის დანაკარგის ტოლფასია.

შეიმჩნევა დადებითი ტენდენციებიც: თუ შარშან ლითონის ჯართის გეგმის შეუსრულებლობისათვის ელმავალშენებლებმა 6000 მან

27 ივლისი

ყოველთვიური

ფაქტები
მოვლენები
საკლესიო
იუწყება

● აშშ

სამანტა სმიტი უზიარებს შთაბეჭდილებას

ვაშინგტონი. ამერიკის გაზეთების უმრავლესობა თვალსაჩინო ადგილას იუწყება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნდა სმიტების ოჯახი, რომელიც იმოგზაურა საბჭოთა კავშირში სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. სტალინოვის მოწვევით. აღნიშნულია, რომ ქალაქ მანჩესტერის (ინგლ. შტატი) მცხოვრებმა სამანტა სმიტმ მოუწყვეს აღფრთოვანებული შეხვედრა. შტატის გუბერნატორმა ჯ. ბრეანამა ოფიციალურად მიულოცა სმიტების ოჯახს მშვიდობის მისიის დამთავრება.

ჟურნალისტებთან საუბარში სმიტების ოჯახი აღნიშნავს განსაკუთრებულ მასპინძლობას, რომელიც გაუწიეს მას საბჭოთა კავშირში, საბჭოთა ადამიანების მისწრაფებას, რაც შეიძლება უკეთ და სრულად გაეცნოთ ამერიკელი სტუმრებისათვის თავიანთი ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა მხარე. სმიტები აღფრთოვანებით გვიამბობენ მოგზაურობაზე, ამასთან ხაზს უსვამენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოხმაურებები ამ მოგზაურობაზე მეტწილად პოზიტიური ხასიათისაა.

როცა მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ ერთ-ერთი კორესპონდენტის შეკითხვაზე უპასუხა, სამანტა სმიტმა თქვა: ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რომ ადამიანები საბჭოთა კავშირში ჩვენ, ამერიკელებს გვგვანან, და იმის არავითარი ნიშანი არ არის, რომ ჩვენთან ომი სურდეთ.

გაზეთ „კანზას-სიტი ტაიმსის“ ერთ-ერთმა რედაქტორმა განაცხადა, რომ მის ბიუროში მოდის უამრავი წერილი, რომლებშიც მკითხველები გამოთქვამენ გაოცებას იმის გამო, რომ ერთმანეთს არ ემთხვევა ამერიკის შეერთებული შტატების რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული სამანტა სმიტის შთაბეჭდილებები საბჭოთა კავშირის შესახებ და ამერიკის პროპაგანდისათვის ჩვეული ანტისაბჭოური მტკიცებები.

თავისუფლებათა დასაცავად

ნიუ-იორკი. ატლანტაში (ჯორჯიის შტატი) მუშაობა დაიწყო ამერიკის ერთ-ერთი უდიდესი საზოგადოებრივი ორგანიზაციის „კაცობრობის ხსნისათვის გაერთიანებული ხალხის“ ყოველწლიურმა ყრილობამ. ეს ორგანიზაცია ცნობილია თავისი გამოსვლებით ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქალაქეობრივ თავისუფლებათა დაცვისათვის. ყრილობა გახსნა ორგანიზაციის პრეზიდენტმა ზანგთა მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწემ, მღვდელმა ჯესი ჯექსონმა. მან შკაცრად დაგმო რეგანის ადმინისტრაციის ანტიხალხური, იმპერიალისტური პოლიტიკა ქვეყნის შიგნით, მისი მეტად საშიში საგარეო-პოლიტიკური კურსი. მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მოძრაობის მონაწილეებმა, განაცხადა ჯექსონმა, უნდა მიაღწიონ, რომ ეს ადმინისტრაცია დამარცხდეს მომავალი წლის პრეზიდენტის არჩევნებში. ამისათვის საჭიროა უზრუნველყონ ზანგ ამომრჩეველთა ფართო მასების მაქსიმალურად ფართო მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში.

ერევიან ჩადის საქმეებში

პარიზი. აქ ზაირის პრეზიდენტის მობუტუ სესე სეკოს ჩამოსვლასთან დაკავშირებით ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, რომ იგი საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანთან ერთად განიხილავს ჩადში შექმნილ ვითარებას. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი და ზაირი ერთად უზრდიან სამხედრო დახმარებას ჰისენ ჰაბრეს რეჟიმს, ამასთან უშუალოდ ერევიან ჩადის საშინაო საქმეებში. კინშასამ უკვე გაგზავნა ჩადში ორი ათასი ჯარისკაცი და სამხედრო თვითმფრინავები.

როგორც ფრანს პრესის საagენტო გადმოგვცემს პარიზიდან, მობუტუ სესე სეკო გაემგზავრება ვაშინგტონს, სადაც 4 აგვისტოს გამართავს მოლაპარაკებას პრეზიდენტ რეიგანთან ჩადში ერთობლივი აქციების საკითხებზე. დასავლელი მიმომხილველების აზრით, პარიზსა და ვაშინგტონში მოლაპარაკებას შეიძლება მოაყვეს ჩადში და მთლიანად აფრიკის ამ რაიონში უცხოეთის ჩარევის ახალი ეტაპი.

ვაშინგტონმა უკვე გადო ნჯამენასთან „საჰაერო ხიდი“, სადაც თეთრი სახლის გადაწყვეტილებით გზავნიან 10 მილიონი დოლარის საერთო თანხის იარაღს და საბრძოლო ტექნიკას, „ზურგის დახმარებას“ უწევენ ზაირის ჯარებს.

ჩადის საქმეებში რეიგანის ადმინისტრაციის ჩარევა სულ უფრო საზიფათო მასშტაბს იძენს, ხაზგასმით აღნიშნავენ უცხოელი მეთვალყურენი. ფრანს პრესის ცნობით, საფანტვრო მონაცემების მისაღებად პენტაგონი იყენებს ავაქსის შორეული რადიოსალოკაციო აღმოჩენისა და გაფრთხილების თვითმფრინავების სისტემას. საბრძოლოდ არის გამზადებული მე-6 ამერიკული ფლოტის ლაბორატორთან თავმოყრილ ავიამზიდებში დისლოცირებული თვითმფრინავები.

ნჯამენის ოფიციმის ინფორმაციის მინისტრმა მაჰამატ სუმაილმ განაცხადა, რომ მიღებული ამერიკული შეიარაღებისა და ტყვიაწამლის ნაწილი გათვალისწინებულია ჩადში მოქმედი ზაირის კონტინგენტისათვის.

ნიუ-იორკი. ლიბიამ აუარადღება მიაპყრო მისი სამხრეთ საზღვრების მახლობლად იმპერიალისტური ძალების და მათი დამჭაშვების აგრესიულ მზადებას. ლიბიის საგარეო ურთიერთობის სახალხო ბიუროს განცხადებაში, რომელიც აქ გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სახით, ხაზგასმულია, რომ ჩადის კონფლიქტში უცხოეთის მონაწილეობა პირდაპირ საფრთხეს უქმნის ლიბიის უშიშროებასა და ტერიტორიულ მთლიანობას, მშვიდობას ამ რეგიონში. დოკუმენტში დაგმობილია ჩადის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და ზაირის მზარდი ჩარევა აგრესიის კოორდინირებული იმპერიალისტური გეგმის ფარგლებში.

● პანამა. სრული მარცხით დამთავრდა სალვადორელ ჯარისკაცთა 45 დღის სადამჯელო ოპერაცია სან-ვინსენტის პროვინციაში. ეს ნათქვამია აქ გავრცელებულ სალვადორელ პარტიზანთა სარდლობის კომუნიკეში. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ ოპერაცია, რომელსაც მმართველმა რეჟიმმა პირფერულად უწოდა „მოკალაქეობრივი დაშოშმინება“, საქმით იყო სახალკალო, ბანდიტური ოპერაცია პროვინციის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. სალვადორის მხედრიონი წვავდა სახლებს, ძარცვავდა, ხოცავდა პირუტყვს, სპობდა ნათესებს, ანგრევდა ყველაფერს, რაც გზაზე ხვდებოდა.

● ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების განმახორციელებელმა კომიტეტმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს ხ. პერეს დე კუელიარს გაუგზავნა წერილი, რომელშიც გამოთქვა სერიოზული შეშფოთება იმის გამო, რომ თელ-ავივი განაგრძობს დამპყრობლურ პოლიტიკას. ოკუპირებულ ტერიტორიებზე ისრაელის დაბების შექმნა და, კერძოდ, სიონისტთა ამასწინანდელი გადაწყვეტილება ქალაქ ელ-ჰალილში დაახახლონ ებრაელი კოლონისტები, მიჩნეულია პალესტინის არაბი ხალხის მამაპაპეულ მიწაზე ცხოვრების უფლების აღმაშფოთებელ დარღვევად.

● ჟენევა. აქ მიმდინარე ეკონომიკური და სოციალური საბჭოს ხელის მონაწილეებმა მკაცრად დაგმეს ტრანსეროვნული კორპორაციების მტაცებლური საქმიანობა განვითარებად ქვეყნებში. განვითარებადი ახელმწიფოების წარმომადგენლებს თავიანთ გამოსვლებში მოშეაგდათ კონკრეტული მონაცემები, რომლებიც მოწმობენ ტრანსეროვნული კორპორაციების მიერ ამ ქვეყნების ბუნებრივ სიმდიდრეთა ნეოკოლონიალურ ძარცვას. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში დაბანდებულ ყოველ დოლარზე, განაცხადა ალეგირის წარმომადგენელმა, კორპორაციები 8 დოლარ მოგებას იღებენ.

ფოტოფაქტი



ოკუპანტთა თარეში გრძელდება

კვლავ დაძაბული ვითარებაა მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირის ბევრ ქალაქსა და პალესტინელთა ბანაკებში და ღაზის სექტორში. მას შემდეგ, რაც მთელ რიგ ადგილებში გაიმართა მასობრივი საპროტესტო მანიფესტაციები ისრაელის ოკუპაციის წინააღმდეგ, სამხედრო ხელისუფლებმა იქ კომენდანტის საათი შემოიღეს. ქუჩებში განუწყვეტლივ დადიან ჯავშანტრანსპორტიორები და ისრაელის არმიის შეიარაღებული პატრულები. ისრაელი ჯარისკაცები შინ უვარდებიან ადგილობრივ მცხოვრებლებს, აწყობენ ჩხრეკას და სასტიკად უსწორდებიან მათ, ვინც ცდილობს წინააღმდეგობა გაუწიოს ოკუპანტთა ძალმომრეობას.

სურათზე: ისრაელი ჯარისკაცები ელ-ჰალილის ქუჩებში.

აპ-საკდესის ფოტო.

ბუდაპეშტი

ბუდაპეშტი. პუდაპეშტის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ელეგანტურ პროდუქციას კარგად იცნობს საბჭოთა მომხმარებელი. მარტო შარშან ამ საწარმომ სსრ კავშირს მიაწოდა 4,5 მილიონი მანეთის მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელი.

მიმდინარე წელს, თქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ლ. ფიულეპმა, საბჭოთა კავშირის პარტნიორებთან ჩვენი თანამშრომლობა ახალი ფორმებით გამდიდრდა. ახლახან ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, ჩვენი საწარმოს ხელშეწყობით სსრ კავშირში განხორციელდება ორი სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქცია ლვოვსა და წყნეთში.

ლვოვის სამკერვალო ფაბრიკისათვის უკვე შერჩეულია ქალის ტანსაცმლის 40 ნიმუში, წყნეთის ფაბრიკისათვის კი — ბავშვთა ნაწარმის ფართო ასორტიმენტი. ამ მოდელებს ორი საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკა გამოუშვებს რეკონსტრუქციის შემდეგ. უნგრეთის მხარე უზრუნველყოფს თანამედროვე მაღალმწარმოებლური მანქანების მიწოდებას, მონაწილეობას მიიღებს ტექნოლოგიური ხაზების მონტაჟში, გადასცემს საჭირო დოკუმენტაციას. ეს უკარნინაა და საქართველოს საწარმოებს საშუალებას მისცემს დაიჩქარონ მოდერნიზაციის შემდეგ ახალი პროდუქციის გამოშვება. მოდერნიზაცია კი მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდება.

● ნიკარაგუა

სამეზღვრო ინციდენტების საფრთხე

მანაგუა. რევოლუციური ნიკარაგუის წინააღმდეგ შეერთებული შტატების უშუალო ინტერვენციის საფრთხე სულ უფრო რეალური ხდება, განაცხადა ეროვნული განთავისუფლების ხანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა, რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა უმბერტო ორტეგამ. იგი გამოვიდა მასობრივ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ტერიტორიული სახალხო მილიციის პირველი სამი ბატალიონის შექმნას. ტერიტორიულმა სახალხო მილიციამ უნდა გაამლიეროს ნიკარაგუის თავდაცვა იმპერიალისტური აგრესიის საფრთხის წინაშე.

ეაშინგტონმა, თქვა უ. ორტეგამ, თავით ფეხამდე შეიაიარაღა ჰონდურასის მეფფი ათასობით სომოსელი, და ამჟამად ამზადებს ნიკარაგუაში ამ დაქირავებული არმიის ახალ, ფართო მასშტაბის შეჭრას. ცენტრალური საჯაზარო სამმართველოს მიერ დაგეგმილ კონტრრევოლუციონერთა გეგმებში შედის ნიკარაგუის ტერიტორიის ნაწილის ხელში ჩაგდება და იმპერიალისტური აგრესიის შემდგომი ესკალაციისათვის პირობების შექმნა.

ნიკარაგუაზე თავდასხმის შემთხვევაში, თქვა უ. ორტეგამ, ინტერვენტებს გზას გადაუღობავს ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ხალხი, რომელიც მზად არის სისხლის უკანასკნელ წვეთამდე დაიცვას იგი. ნიკარაგუის მთავრობას შესაძლებლად მიაჩნია პოლიტიკური მოწესრიგება ცენტრალურ ამერიკაში, მაგრამ იგი განაგრძობს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

● პაკისტანი

მინისტრის ვიზიტი

ისლამაბადი. აქ ვიზიტად ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი უ. სიუეციანი. აეროპორტში მან განუცხადა ჟურნალისტებს, რომ მომავალი მოლაპარაკება „უწინარეს ყოვლისა კონცენტრირებული იქნება ავღანეთის პრობლემაზე“. ჩინეთის და პაკისტანს, თქვა მან, მსგავსი შეხედულებები აქვთ ამ საკითხზე.

თანამშრომლობის კანონით

პარტნიორობის ახალი ფორმა

ბუდაპეშტი. პუდაპეშტის 1 მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის ელეგანტურ პროდუქციას კარგად იცნობს საბჭოთა მომხმარებელი. მარტო შარშან ამ საწარმომ სსრ კავშირს მიაწოდა 4,5 მილიონი მანეთის მამაკაცის, ქალისა და ბავშვის ტანსაცმელი.

მიმდინარე წელს, თქვა ფაბრიკის მთავარმა ინჟინერმა ლ. ფიულეპმა, საბჭოთა კავშირის პარტნიორებთან ჩვენი თანამშრომლობა ახალი ფორმებით გამდიდრდა. ახლახან ხელმოწერილი შეთანხმების შესაბამისად, ჩვენი საწარმოს ხელშეწყობით სსრ კავშირში განხორციელდება ორი სამკერვალო ფაბრიკის რეკონსტრუქცია ლვოვსა და წყნეთში.

ლვოვის სამკერვალო ფაბრიკისათვის უკვე შერჩეულია ქალის ტანსაცმლის 40 ნიმუში, წყნეთის ფაბრიკისათვის კი — ბავშვთა ნაწარმის ფართო ასორტიმენტი. ამ მოდელებს ორი საბჭოთა სამკერვალო ფაბრიკა გამოუშვებს რეკონსტრუქციის შემდეგ. უნგრეთის მხარე უზრუნველყოფს თანამედროვე მაღალმწარმოებლური მანქანების მიწოდებას, მონაწილეობას მიიღებს ტექნოლოგიური ხაზების მონტაჟში, გადასცემს საჭირო დოკუმენტაციას. ეს უკარნინაა და საქართველოს საწარმოებს საშუალებას მისცემს დაიჩქარონ მოდერნიზაციის შემდეგ ახალი პროდუქციის გამოშვება. მოდერნიზაცია კი მიმდინარე წლის დამლევამდე დამთავრდება.

ახალი ლაურეატი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით გამოჩენილი ქართველი მათემატიკოსის ანდრია რაზმაძის სახელობის 1983 წლის პრემია მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს ზაურ ჭანტურიას ნაშრომთა ციკლისათვის „ორთოგონალური პოლინომური ბაზისებისა და ფურიეს მწკრივების კრებადობის შესახებ“. ეს ნაშრომები 1980-82 წლებში გამოქვეყნდა საბჭოურ და უცხოურ (აშშ, პოლონეთი) ავტორიტეტულ სამეცნიერო ჟურნალებში. თავისი კვლევის შედეგები ზ. ჭანტურიას მოხსენებული აქვს ჩვენში თუ საზღვარგარეთ გამართულ ფორუმებზე.

ქართველი მეცნიერის პუბლიკაციებმა და მოხსენებებმა საბჭოთა და უცხოელი სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. აღინიშნა, რომ ზ. ჭანტურიას ნაშრომებში ღრმად და საფუძვლიანად არის შესწავლილი პოლინომიურ ბაზისებთან და ფურიეს მწკრივებთან დაკავშირებული აქტუალური საკითხები. მიღებულია პირველხარისხოვანი, გარკვეული აზრით, საბოლოო შედეგები, რომლებიც ფუნქციათა თეორიის მნიშვნელოვან შენაძენად უნდა ჩაითვალოს.

კადევ რამდენიმე ცნობა ა. რაზმაძის სახელობის პრემიის ახალ ლაურეატზე (სხვადასხვა დროს ამ პრემიის ლაურეატები გახდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. კიღურაძე და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი რ. გამყრელიძე); ზ. ჭანტურია დაიბადა 1939 წელს, მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მოიპოვა 1979 წელს, გამოქვეყნებული აქვს 44 სამეცნიერო ნაშრომი. იგი ცნობილი ქართველი მათემატიკოსის ლ. მაღნარაძის მოწაფეა. ამჟამად ზ. ჭანტურია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ მუშაობს.

თ. გოგრაძე.

საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. გ. კ. ლორთქიფანიძე გაათავისუფლა პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ო. ნ. მარგალიტაძე, რომელიც რადიოელექტრონული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ მუშაობდა.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ს. ე. ხაბეიშვილმა. (საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა ამხ. ნ. ს. ბუჩუკური გაათავისუფლა პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პარტიის სიღნაღის* რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. თ. შ. ქევნიშვილი, რომელიც მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორად.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილმა.

სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

გაიმართა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სესიამ ამხ. ჯ. მ. გოგინაშვილი გაათავისუფლა სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სიღნაღის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ც. ქ. ნადაშვილი, რომელიც საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის მდივნად მუშაობდა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. ა. ანდრონიკაშვილი. (საქინფორმი).

● ინდოეთი

ინდირა განდი

ნიუ-დელი. ინდოეთის ეროვნული ინფორმაციის ცენტრის ინფორმაციით, ინდირა განდი

სასარგებლო, საჭირო მონოგრაფია

ლითონური მასალების კოროზიისა და მისგან დაცვის პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ბევრ ქვეყანაში კოროზიისაგან გამოწვეული დანაკარგები ეროვნული შემოსავლის 3-4 პროცენტს შეადგენს, რაც აღემატება განათლების, კულტურისა და სოციალური მიზნებისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს.

ჩვენს ქვეყანაში ამ აქტუალური პრობლემის გადასაჭრელად ზემდგომი ორგანოების არაერთი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა მიღებული.

სწორედ ამიტომაც განსაკუთრებულ უურადღებას იმსახურებს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „ნაუკას“ მიერ ახლახან მოსკოვში დაბეჭდილი აკადემიკოს ა. ალარის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის ვ. ქემხაძის მონოგრაფია „ტენიან სუბტროპიკებში ლითონთა კოროზია და დაცვა“.

ნაშრომში განხილულია ლითონური მასალების ნოვეგვის შეჭანიზმი და თავისებურებანი ტენიანი სუბტროპიკული ჰავის პირობებში. აღწერილია ტექნიკურად მნიშვნელოვან ლითონთა შენადნობების, სხვადასხვა ლითონური დანაფარების, საცხი მასალებისა და ინჰიბიტორების ქცევა; განხილულია ლოკალური კოროზიის ცალკეული სახეები, მათი წარმოშობის და განვითარების სურათი. მოცემულია აღნიშნული ჰავის პირობებში საეკსპლოატაციოდ განკუთვნილი შენადნობებისა და კონსტრუქციების შერჩევისა და კოროზიისაგან დაცვის რეკომენდაციები, აგრეთვე მდიდარი და უნიკალური ფაქტობრივი მასალა.

ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კოროზიის სიჩქარეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს მხოლოდ მოცემული, კონკრეტული რაიონის ჰავისათვის დამახასიათებელი პირობები და აქაც განსაზღვრულია პარამეტრების მაქსიმალური მნიშვნელობები, რომ მათი ცვლილებებთან იცვლება ორგორც კოროზიის პროცესის სიჩქარე, ისე მისი ხასიათი, მექანიზმი.

ცნობილია, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირი მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში გზაენის მაქანებს და დანადგარს, რომელთა საიმედოობა და ექსპლოატაციის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კოროზიულ მედეგობაზე. ასეთ ნაკეთობათა შექმნისას უდიდესი მნიშვნელობა ეზიჭება შენადნობებისა და კონსტრუქციების სწორ შერჩევას. თუ გავითვალისწინებთ, „რომ ბათუმის რაიონი ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ჰავის პირობებით უახლოვდება ტროპიკულს, ცხადი გახდება მონოგრაფიაში ასახული ფაქტობრივი მასალის უნიკალური მნიშვნელობა.

ნაშრომი მნიშვნელოვანი შეტანილია სხვადასხვა დარგის მეცნიერების, ასპირანტების, კონსტრუქტორების და სტუდენტებისათვის, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშაკთათვის.

ამასთანავე შევნიშნავთ წიგნში არსებული ტექნიკური ხასიათის ხარვეზებს. სასარგებლო იქნებოდა ფაქტობრივი მასალის კოდექ უფრო ფართოდ წარმოდგენა.

თუ საქართველოს რაიონების კლიმატურ პირობებს გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ მეტად სასარგებლო იქნება ქართულ ენაზეც ითარგმნოს და დაისტამბოს ვ. ქემხაძის წიგნი.

შ. თავაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აკადემიკოსი;

გ. სიმორიძე,
სახელმწიფო პრემიის ლაურატი, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

კომპანისტი

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეები — 99-93-03, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, ბასეოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 93-22-93, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, პროფკომდანთა ძალის და კრების მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, ეცხოვრების ინფორმაციის — 99-60-21, მეგობრელთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მიხედვის — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-36; ბორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ფოთი — 5-58-69; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-86; ტყიბული — 25-82.





თბილი, ალერსიანი ზღვა, მზიანი ამინდები, კეთილმოწყობილი პლაჟები, კომფორტული სანატორიუმები, დასახვენებელი სახლები, კემპინგები, ტურისტული ბაზები, ჩინებული სერვისი — ყოველივე ეს იზიდავს აფხაზეთის შავი ზღვის სანაპიროზე ათასობით დამსვენებელს ქვეყნის ყველა კუთხიდან და ხაზღვარგარეთიდან.

სურათებზე: ტურისტების ეს ჯგუფი ეს-ეს არის ჩამოვიდა ხოხუმის საკავშირო ალკა XV ყრილობის სახელობის ტურბაზაში. (მარცხნიდან მარჯვნივ); სარატოველი მარინე ერიომინა, კურგანელი ალექსანდრე ვილჩინსკი, სარატოველი ელენე კოჩნევა, ნოვოსიბირსკელი რობერტ შახტარინი და მისი თანაკალაქელი ნატალია ნატიუხოვა; როგორ მივიდეთ ახალი ათონის მდვიმესთან? ცოლ-ქმარ გუტრუნსა და ჰანს კუნზეებს, რომლებიც ცხოვრობენ ლაიფციგის მახლობლად (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) ქალაქ აილენბერგში, გზას ასწავლის აფხაზეთის სახელმწიფო ავტოინსპექციის საგზაო მეთვალყურეობის ერთ-ერთი საუკეთესო ინსპექტორი ზურაბ ჩაჩავა; ბიკვინთის რელიქტის კორომი ოჯახური დასვენების ყველაზე საყვარელი ადგილია; რა სჯობია გაგრის ზღვას...

ი. ჯოხონელიძის ფოტო
(საინფორმის ფოტოქრონიკა)

სიტყვასთან ჭიდილი

...ყველას აქვს გულში ლექსი, მით უფრო ახალგაზრდობაში. ქართველი კაცი რომ მოლექსედ დაბადებული, ამის უტყუარი საბუთია ჩვენი უმდიდრესი და უნიკალური ფოლკლორი, ურომლისოდაც შეუძლებელია ქართული კულტურის სულიერი საგანძურის შეცნობა-შეფასება.

ფოლკლორული საუნჯის გამოზეურებას ამ ბოლო ხანებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მივინიჭა — გზა ფართო — ხალხის დაუშრეტელ ნიჭსა და ფანტაზიას!

სარედაქციო ფოსტის ერთი მესამედი მაინც რომ ლექსებზე მოდის, ეს უსათუოდ ჩვენი ხალხის სულიერი ენერგიის, მისი ჩვეული პოეტური შემართების მიზეზითაც უნდა ავხსნათ. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში გამოგზავნილი ლექსების ავტორთა ასაკი შეზღუდული როდია — გვეკრს ახალგაზრდა და მოწიფული კაცი, გვეწერენ ცხოვრებაგავლილი ადამიანები, პენსიონერებიც!

...ლექსი სულის მალამოა! ცხადია, კარგ ლექსს ვგულისხმობთ.

...ლექსი სულის მალამოა ორის და ადამიანის სულის სარკეც! ერთ პატარა ლექსს შეუძლია დიდი პატივი და ნდობა არგუნოს მის შემოქმედს, და პირიქითაც!

აი, ეს მეორე მხარე კი უსიამოვნოა, მაგრამ არც ისე იოლია დაარწმუნო მავანი და მავანი, თუ რაოდენ სუსტია მის მიერ ლექსად წოდებული სტრიქონები.

გაგულისდება, გამოგედავებათ, დაგემუქრებათ კოდეკ... ჩივილსაც დაგაპირებს...

მაგრამ სად უნდა იჩივლოს ცუდი ლექსის ავტორმა?!

მადლობა ღმერთს, ჩვენს დაღოცვილ ქვეყანაში ლექსის ავ-კარგის გამრჩევი არ დალეულა!

...ჩვეულებრივ, რედაქციაში გამოგზავნილ ლექსებს „წინასიტყვაობაც“ ახლავს! მათი ავტორები საოცრად ჰგვანან ერთმანეთს — ყველას ეჩქარება საკუთარი ფანტაზიის ნაყოფის გამომზეურება. და, რაც მთავარია, ყველას სწამს, რომ მისი ლექსი უნაკლოა!

ძნელია, ძალზე ძნელი ეკამათო ყოველ მათგანს, დაარწმუნო და, მით უფრო, გადაარწმუნო, რომ ლექსი ოთხ-ოთხ პწკარად ჩარიგებულ ჩახლართულ სტრიქონთა წყება კი არ უნდა იყოს, საიდანაც ნებისმიერ მოკვდავს გაუჭირდებოდა აზრის გამოტანა, არამედ მართლა ლექსი, პოეზია!..

ცხადია, მეტნაკლებობა აქაც არის — ხანდახან ნათელი სტრიქონებიც გამოერევა მკითხველთა ამ მოზღვავებულ ლექსებში, მაგალითად, საქართველოსადმი მიძღვნილ ერთ ლექსში წერია:

„უფსკრულთან ბევრჯერ
ყოფილხარ,
მტრის ლახვარიცა გსობია,
მაგრამ ალგეთში დაგზრდია
ლეკვები მჯობთა მჯობია“.

თუმცაღა ეს ნაკრობი ხალხური მოტივის გადამღერებაა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ავტორი (ზ. ჩიტიშვილი, თბილისი) ინერციით მშობლიური ფოლკლორის წიაღიდან მოდის, ოღონდ ვერ დაუფლებია ლექსის თხზვის ხელოვნებას და ამიტომაც თავიდან ბოლომდე ვერც მორეგია მას, ვერ გაუმართავს კომპოზიციურად.

ლექსის ხელობაც ხომ ისეთივე მუყაითობას და ოსტატობას მოითხოვს, როგორსაც გუთნისდედის, ხეროს, ქვისმთლელის, მეჩუქურთმის, თუნდაც მეზვრისა!

ბევრი რამ არის ლექსის გაჩენის მიზეზი!

...სამშობლოს სიყვარული, ქვეყნის აღმასვლით გამოწვეული მადლიერებისა და აღფრთოვანების გრძნობა, მიჯნურობა, სიმამაცე, მეუხარება, შრომითი მიღწევები და უთუოდ მშობლიურ კერასთან თუნდაც დროებითი განშორებაც...

ეს, ძირითადად, წვევამდელებს შეეხებათ, სიწრფელით, ნახვის ნატვრის სურვილითა და მხედრული ღირსების შეგრძნებით ძალზე წაადგის ჩვენი დიდი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი მათი ლექსები ერთმანეთს, მაგრამ ცხადია, გამოსაქვეყნებლად მარტო ეს არ კმარა;.

...რამდენი ლექსი აკვნესებენ მწყემსის სალამურთან ერთად, რამდენი მათგანი თქმულა ხმამაღლა და დაგვხსომებია... ეჭნებ, პირველი მოლექსე სულაც მწყემსი იყო!...

დღესაც გამოირჩევა ქართულ ფოლკლორში მწყემსური პოეზიის ნიმუშები; ესეც მწყემს უთქვამს:

„მწყემსი მთის წვერზე რომ
გაშლეს ფარახ,
ფიქრში წასული სულ ამას
ფიქრობს:
ნეტავი მყავდეს იმდენი ცხვარი,
რამდენ ვარსკვლავსაც ცა
მკერდი იცნობს.



კეთილმოსურნე გასაუბრება გაზეთის მკითხველებთან

—ასჯერ აწონ-დაწონის და შემდეგ მისცემს გზას...

თავმდაბლობას და რიდს რომ იგრძნობ ნაწერში, გეამება. სიტყვა ისეთი ფალავანია, რომელთან ჭიდილშიც ბევრი დამარცხებულა, ნუ დავივიწყებთ შოთას ანდერძს:

„მოშაორე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი, ორი“...

..უხეიროდ წერას ჩხრეკას უწოდებს სულხან-საბა ორბელიანი, უხეიროდ მწერალს კი — მჩხრეკალს! ხშირად სწორედ ასეთი მჩხრეკალები უკეთებენ რეცენზიას საკუთარ ნაწერებს... თუკი ფოსტას ისეთი ლექსი მოჰყოლია, რომ გულზე მოხვედრია კაცს, ის კიდეც დაბეჭდილა და კვლავაც არ დავიშურებთ ადგილს, კვლავაც ყურადღებით მოეკიდება რედაქცია თავისი მკითხველების გულისთქმას, რასაც ისინი ლექსებით გვიმეღავნებენ, მაგრამ მკითხველთა წერილების გვერდში გამოქვეყნებული ასეთი სტრიქონები არცთუ ისე ხშირია!

ცხადია, ყველას ერთ ჯამში ვერ მოვაქცევთ. არიან ადამიანები, რომელთაც სურთ თავიანთი სიტყვა თქვან გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის გამო, ან ხოტბა შეასხან მათ გვერდით, მათ მხარდამხარ შრომაში ჩაბმულ თანამემამულეებს და ამით გამოთქვან თავიანთი მადლიერება, არაერთი მუშა-პოეტი ვიცით, მათ შორის არის გიორგი მემანიშვილიც, თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ელექტროვაგონშენაკეთებელი ქარხნის ოსტატი, რომელიც მადლიერების სიტყვებით მიმართავს შრომის გმირს კონსტანტინე ილურიძეს და ამავე დროს მშობლიური ქარხნის 100 წლისთავსაც უძღვნის ლექსს, მაგრამ „კომუნისტის“ ფურცლებზე გამოსაქვეყნებელი ლექსის ავკარგიანობა ასჯერ იზომება!

ისევ და ისევ საბრალო, ალბათ, შეეახსენოთ ჩვენს მკითხველებს, რომ თუკი მათ ხელიწიფეს, ესე იგი გაბედეს ლექსის წერა, მაშინ პასუხისმგებლობაც, თვითკრიტიკულობაც მეტი უნდა გამოიჩინონ საკუთარი თავისადმი. დღეს ხელით მოლექსეს უწოდნენ არამც და არამც არ მიეტევება! ზოგი იმდენად ნათელ, საღ აზრს გვაწოდეს ლექსად, გრძნობთ, ესმის დროის მაჯისცემა (თერგისპირელი, მ. გოგოლაძე).

კარგად უნდა დავიხსომოთ სკკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვები სკკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიმდინარე წლის 15 ივნისს:

„პარტია მხარს უჭერს ყოველივეს, რაც ამდიდრებს მეცნიერებას, კულტურას, ხელს უწყობს მშრომელთა აღზრდას განვითარებული სოციალიზმის ნორმებისა და პრინციპების სულისკვეთებით. იგი სათუთად ეკიდება ტალანტებს, ხელოვნის შემოქმედებითს ძიებას. არ ერევა მისი მუშაობის ფორმებსა და სტილში. მაგრამ პარტია გულგრილი ვერ იქნება ხელოვნების იდეური შინაარსისადმი. იგი დღენიადაგ წარმართავს ხელოვნების განვითარებას ისე, რომ ხალხს ინტერესებს ესახურებოდეს, რა თქმა უნდა, აქ ადმინისტრირებაზე არ არის ლაპარაკი. მხატვრულ შემოქმედებაზე გავლენის მთავარი მეთოდი უნდა იყოს მარქსისტულ-ლენინური კრიტიკა. აქტიური, გულისხმიერი, ყურადღებიანი და ამავე დროს შეურიგებელი იდეურად და პროფესიულად სუსტი ნაწარმოებებისადმი“.

დიახ, პროფესიულად სუსტი ნაწარმოებები არავის არ სჭირდება. დასანანია, მაგრამ ფაქტია, რომ საკმაოდ საგრძნობია ეს სუსტი სარედაქციო ფოსტაში შემოსული ლექსებში.

ტყუილად ხომ არ უთქვამს ხალხს: პური მეპურეს გამოაცხობინეო... ლექსის დამწერიც ისევე უნდა დაეუფლოს თავის ხელობას, როგორც ხაბაზი, მაშინ ეთქმის მას პროფესიონალი ანუ ოსტატი!

ნ. საყვარელიძე.

...ეს ... ...

ბუნების ქომაგობა, მისი კანონზომიერების დაცვა და წონასწორობის შენარჩუნება კაცობრობის უპირველესი საზრუნავია.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების მრავალმხრივი გამოყენების აუცილებლობამ უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა ადამიანი— მოჭრილ ხეს თუ სანაცვლო არ დაურგო, ახალი საწარმოს აშენებისას თუ მის გამართულ მუშაობასა და ნარჩენების მოვლაზე არ იფიქრე, გაბინძურებულ მდინარეებსა და ზღვებს თუ არ მიხედე, ეს საკუთარ თავზე, საკუთარ მომავალზე უარის თქმას ნიშნავს.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს ბუნების დაცვის საკითხებს. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ამჟამად თბილისში მიმდინარეობს ბუნების დაცვის ერთთვიური. ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. საინტერესო გამოდგა ამას წინათ კინემატოგრაფისტთა კავშირში გამართული საუბარი მრგვალ მაგიდასთან—„ბუნების დაცვა და ქართული ხელოვნება“. ნაჩვენები იყო სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნამუშევრები: „სუფთა ჰაერი ყველასთვის“ (სცენარის ავტორი — მ. რჩეულიშვილი, რეჟისორი — ს. სტრახოვი, ოპერატორები — ლ. მიხაილოვი, მ. ყველაშვილი), „მონოლოგები ტყის დასაცავად“ (სცენარის ავტორები —თ. ბაქრაძე, თ. ურუშაძე, რეჟისორი — თ. ბაქრაძე, ოპერატორი —დ. ასათიანი), „ორაგულის ბედი“ (სცენარის ავტორი — რ. თაბუკაშვილი, რეჟისორი და ოპერატორი — გ. ჭუბაბრია), „ტყე და ადამიანი“ (სცენარის ავტორები—ლ. ციხაძე, შ. მაქაცარია, რეჟისორი —მ. ასიტაშვილი, ოპერატორი —რ. ორდენიძე, ს. ასათიანი) „გასროლა რიკოშეტით“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი — გ. ყვანია, ოპერატორი ა. ვოდოლაზევსკი). საუბარმა საქმიანი, საინტერესო ხასიათი მიიღო.

3. კაპარაძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— ბოლო ხანს ჩვენმა კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა შემოქმედ ინტელიგენციასთან. ეს კავშირი მიზნად ისახავს სრულიად გარკვეულ ამოცანას — გვინდა კინოს, თეატრის, ლიტერატურის ფართო შესაძლებლობანი ბუნების დაცვის სამსახურში ჩავაყენოთ. ეს თანამშრომლობის კარგი ფორმაა. კინოს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მართალია, ბუნება შთაგონების წყაროა, მაგრამ დღეს მას მხოლოდ რომანტიკულ ბურუსში კი არა, მოქალაქეობრივი პოზიციით უნდა შევხედოთ. ხელოვნებაში უნდა გამოიკვეთოს, რომ ბუნების მოვლა-შენახვა ერთეულთა კი არა, საერთო, საქვეყნო საქმეა. უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი გაკიცხვის გარემო ბრაკონიერებისა და მსგავსთა მიმართ. საჭიროა სახალხო ლაშქრობა ბუნების გადასარჩენად.

ლ. მაჩაიძე, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე:

— საქართველოში დღეს, სტალინტიკური მონაცემებით, ბუნების ქომაგთა რიცხვმა მილიონ შვიდი ათასს მიაღწია. ისინი ასუფთავებენ გარემოს, რგავენ ხეებს. ამ მოძრაობაში ჩაება ახალგაზრდობაც. ეტყობა, ეს საკმარისი არ არის, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ეკოლოგიის თემაზე ფილმების გადაღება ასაკის მიხედვით და მათი ხმირი ჩვენება.

გ. ჯვალიშვილი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი:

— ამ დარბაზში შეკრებილთ ერთი საერთო აზრი და მიზანი აერთიანებთ. კინემატოგრაფი ფაქტიკური მონაცემებით, ბუნების ქომაგთა რიცხვმა მილიონ შვიდი ათასს მიაღწია. ისინი ასუფთავებენ გარემოს, რგავენ ხეებს. ამ მოძრაობაში ჩაება ახალგაზრდობაც. ეტყობა, ეს საკმარისი არ არის, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ეკოლოგიის თემაზე ფილმების გადაღება ასაკის მიხედვით და მათი ხშირი ჩვენება.

გ. ჯვალიშვილი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მდივანი:

— ამ დარბაზში შეკრებილთ ერთი საერთო აზრი და მიზანი აერთიანებთ. კინემატოგრაფი ფა-

გ. ხუხაშვილი, მწერალი დრამატურგი:

— ზარი საკმაოდ მძაფრად ახმიანდა. ირღვევა წონასწორობა ადამიანსა და ბუნებას შორის. თითოეული ჩვენგანის ვალია მინდიასავით გასვიცადოთ ყოველი ნაბიჯი ბალახის ბედი. ეწეროთ და ბევრი ვიფიქროთ ამაზე. ეკოლოგიური პრობლემა გლობალურია თავისი არსით და იგი მთელ კაცობრიობას ეხება.

ლ. მაჩაიძე, ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგე:

— საქართველოში დღეს, სტალინტიკური მონაცემებით, ბუნების ქომაგთა რიცხვმა მილიონ შვიდი ათასს მიაღწია. ისინი ასუფთავებენ გარემოს, რგავენ ხეებს. ამ მოძრაობაში ჩაება ახალგაზრდობაც. ეტყობა, ეს საკმარისი არ არის, ვფიქრობ, სასარგებლო იქნება ეკოლოგიის თემაზე ფილმების გადაღება ასაკის მიხედვით და მათი ხშირი ჩვენება.

ნ. თათელაძე.

დღის წესრიგშია სპარტაკიადა

მოჰადრაკეთა სასპარტაკიადო ტურნირები წარსულ წლებშიც გამართულა, მაგრამ წლევანდელი ყველაზე დიდი დაძაბულობით ხასიათდება. აქ ყოველი ქულისათვის მეტოქეები განსაკუთრებული შეუპოვრობით იბრძვიან. ფინალური ექვსეულის გუნდებმა მეოთხე ტურის პარტიების უმრავლესობა გადადეს: საქართველო — მოსკოვი — 0,5:1,5 (6 პარტია გადადიდ), ლატვია — სომხეთი — 0,5:1,5 (6), უკრაინა — ლენინგრადი — 3:2 (3). საქართველოსა და მოსკოვის მოჰადრაკეთა მატჩში მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა შედარებით სწრაფად, სადაც მსოფლიო ჩემპიონმა ა. კარპოვმა ზუსტად გამოიყენა თავისი უპირატესობა და დაამარცხა თ. გიორგაძე. უბილავა-იუსუპოვის შეხვედრაში გამარჯვების ორმხრივი შესაძლებლობები იყო, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიაღწია უპირატესობას და მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. გუოგენიძე-ტ. პეტროსიანის, აზმაიფარაშვილ-ბალაშოვის, გუფელდ-დოლმატოვის, სტურუა-ვასიუკოვის, ჩიბურდანიძე-ფათალიბეკოვის და გაფრინდაშვილ-ზაიცევის პარტიები გადაიდო. სპეციალისტების აზრით, დასამთავრებელ პარტიებში მოგების შანსები აქვთ გურგენიძეს, გუფელდსა და ჩიბურდანიძეს, აზმაიფარაშვილს წასაგები მდგომარეობა აქვს, სტურუასა და გაფრინდაშვილს კი ყაიმისათვის შეუპოვარი ბრძოლა მოუწევთ.

გადადებული პარტიების დამთავრების წინ გუნდების სტურნირო მდგომარეობა ასეთი გახლდათ: მოსკოვი — 14,5 (7 გადადებული პარტია), უკრაინა — 14,5 (4), ლენინგრადი — 14,5 (3), საქართველო — 13,5 (6), ლატვია — 13,5 (6), სომხეთი — 9,5 (6). გუშინ გაიმართა მეოთხე ტურის გადადებული პარტიების დამთავრება. ბოლო, მეხუთე ტურში საქართველოს მოჭადრაკეები შეხვდებიან უკრაინელებს, მოსკოველები — სომხებს, ლატვიელები — ლენინგრადელებს. ეს მატჩები დღეს გაიმართება.

კლასიკური სტილის მოჰიდაკეთა შეჯიბრებაზე რამდენიმე წონითს კატეგორიაში უკვე გამოვლინდა გამარჯვებულთა ვინაობა. 48 კგ წონითს კატეგორიაში პირველობა მოიპოვა მოსკოველმა ვ. საგჩუკმა, რომელმაც ფინალში ქულებით მოუგო თ. ყაზარაშვილს. ქართველი მოჭიდავე ვერცხლის მედალს დაეუფლა. გ. მაჭარაშვილი (62 კგ) მეექვსე ადგილზე გამოვიდა. ვინაიდან მისი ორთაბრძოლა მეხუთე ადგილისათვის ა. ლიტვინოვთან (რსფსრ) დამარცხებით დამთავრდა. ამ წონითს კატეგორიაში უძლიერესი გახლდათ რ. ნასიბულოვი (რსფსრ), 90 კგ წონითს კატეგორიაში პირველობა მიეკუთვნა ვ. ყდანოვს (უკრაინა). მისმა მეტოქემ ი. კანგინმა ტრავმის გამო ფინალური შეხვედრა ვერ დაამთავრა. ამ წონითს კატეგორიაში ზ. ივანაშვილმა მესამე ადგილისათვის ორთაბრძოლა ლამაზად მოუგო ლენინგრადელ ი. ბუკინს და ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

დანარჩენ წონითს კატეგორიებში საქართველოს მოჭიდავეთა შედეგები ასეთია: ვ. ბლაგიძე (52 კგ) მესამე წრეში ისვენებდა, მეოთხეში კი ქულებით დამარცხდა ბ. ფაშაიანთან (სომხეთი); დ. ლატარიამ (74 კგ) მესამე წრეში ქულებით მოუგო გ. დუდანოვსკის (ლატვია), მეოთხეში კი ისვენებდა; მ. სალაძემ (100 კგ) მესამე წრეში დაამარცხა ი. შანცევსი (ლატვია), მეოთხეში — ისვენებდა. ამავე წონითს კატეგორიაში უშანგ თევდორაძემ ქულებით მოუგო კ. დარჩიევს (ტაჯიკეთი), მეოთხეში კი თავისუფალი იყო. 57 და 68 კგ წონითს კატეგორიებში საქართველოდან არავინ ასპარეზობს; ზ. ყუბუსიძემ, თ. აფხაზავამ (ორივე 82 კგ) და ა. მაისურაძემ (ზემძიმე წონა) პირველი წრის შეხვედრებში წარმატებით იასპარეზეს. ყუბუსიძემ გ. უშინსკისთან (ლატვია) წმინდად მოიგო, აფხაზავამ ლენინგრადელი ი. სმირნოვი ქულებით დაამარცხა, მაისურაძემ კი ი. როსტორაცკი (ყაზახეთი).

დამთავრდა **მრგვალ სტენდზე** პირადი პირველობა. აქ სამმა სპორტსმენმა ქულათა თანაბარი რაოდენობა (196-196) დააგროვა და მათ შორის საპრიზო ადგილები დამატებითი სერიის ჩატარების შემდეგ განაწილდა. საბოლოოდ ამ ერველ ადგილზე გამოვიდა ვ. ტიმონინი (აზერბაიჯანი), მეორეზე — ს. ზაზეროსოტოვი (ყაზახეთი), მესამეზე — ა. ფიოდოროვი (მოსკოვი). საქართველოს ნაკრების წევრებმა თ. იმნაიშვილმა და ტ. ყდელტმა 195-195 ქულით შესაბამისად მეოთხე-მეხუთე ადგილები დაიკავეს.

ტუბინის სროლაში მვ-9 ვარჯიშში მოასპარეზეთა შედეგები ძალიან მაღალი იყო. მაგალითად, სამმა სპორტსმენმა ქულათა მაქსიმუმი (600) დააგროვა. საპრიზო ადგილები ამ სამეულს შორის საბოლოოდ ასე განაწილდა: ა. მიტროფანოვი (მოსკოვი), გ. პეტროკიანი (სომხეთი), და ი. რეგუცკი (უკრაინა). შედეგები იმდენად მშიდრო იყო, რომ საქართველოს სპორტსმენებს ვ. სამოილენკოს და თ. ქოიავის, რომლებმაც საკმაოდ კარგი შედეგები მოიპოვეს (შესაბამისად 597 და 596 ქულა), მხოლოდ მეთექვსმეტე და ოცდამესამე ადგილები ხვდათ წილად.

ოთხ კილომეტრზე გამოდევნებით **ინდივიდუალური ველოსიპედისტის** საკვალიფიკაციო შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრების წევრმა ი. ზემენკოვმა 16 სპორტსმენს შორის გაიკვლია გზა და საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა. ახლა ჯერი მომდევნო ეტაპის მერვედფინალურ შეჯიბრებაზეა.

ბალახის ჰოკეიში მოასპარეზე საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა პირველი გამარჯვება მოიპოვა. ჩვენმა ჰოკეისტებმა მოუგეს ბელორუსებს ანგარიშით 3:2, ქალთა გუნდი კი დამარცხდა სომხეთის კოლექტივთან 0:3.

ჯ. ენუქიძე.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
ქ. მოსკოვი.

...

ბუნების ქომაგობა, მისი კანონზომიერების დაცვა და წონასწორობის შენარჩუნება კაცობრობის უპირველესი საზრუნავია.

თანამედროვე პირობებში ბუნებრივი რესურსების მრავალმხრივი გამოყენების აუცილებლობამ უმწვავესი ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დააყენა ადამიანი— მოჭრილ ხეს თუ სანაცვლო არ დაურგო, ახალი საწარმოს აშენებისას თუ მის გამართულ მუშაობასა და ნარჩენების მოვლაზე არ იფიქრე, გაბინძურებულ მდინარეებსა და ზღვებს თუ არ მიხედე, ეს საკუთარ თავზე, საკუთარ მომავალზე უარის თქმას ნიშნავს.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევს ბუნების დაცვის საკითხებს. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტი. ამჟამად თბილისში მიმდინარეობს ბუნების დაცვის ერთთვიური. ეწყობა სხვადასხვა სახის ღონისძიებანი. საინტერესო გამოდგა ამას წინათ კინემატოგრაფისტთა კავშირში გამართული საუბარი მრგვალ მაგიდასთან—„ბუნების დაცვა და ქართული ხელოვნება“. ნაჩვენები იყო სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური ფილმების სტუდიის ნამუშევრები: „სუფთა ჰაერი ყველასთვის“ (სცენარის ავტორი — მ. რჩეულიშვილი, რეჟისორი — ს. სტრახოვი, ოპერატორები — ლ. მიხაილოვი, მ. ყველაშვილი), „მონოლოგები ტყის დასაცავად“ (სცენარის ავტორები —თ. ბაქრაძე, თ. ურუშაძე, რეჟისორი — თ. ბაქრაძე, ოპერატორი —დ. ასათიანი), „ორაგულის ბედი“ (სცენარის ავტორი — რ. თაბუკაშვილი, რეჟისორი და ოპერატორი — გ. ჭუბაბრია), „ტყე და ადამიანი“ (სცენარის ავტორები—ლ. ციხაძე, შ. მაქაცარია, რეჟისორი —მ. ასიტაშვილი, ოპერატორი —რ. ორდენიძე, ს. ასათიანი) „გასროლა რიკოშეტით“ (სცენარის ავტორი და რეჟისორი — გ. ყვანია, ოპერატორი ა. ვოდოლაზევსკი). საუბარმა საქმიანი, საინტერესო ხასიათი მიიღო.

3. კაპარაძე, საქართველოს სსრ ბუნების დაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

— ბოლო ხანს ჩვენმა კომიტეტმა მჭიდრო კავშირი დაამყარა შემოქმედ ინტელიგენციასთან. ეს კავშირი მიზნად ისახავს სრულიად გარკვეულ ამოცანას — გვინდა კინოს, თეატრის, ლიტერატურის ფართო შესაძლებლობანი ბუნების დაცვის სამსახურში ჩავაყენოთ. ეს თანამშრომლობის კარგი ფორმაა. კინოს ზემოქმედების დიდი ძალა აქვს. მართალია, ბუნება შთაგონების წყაროა, მაგრამ დღეს მას მხოლოდ რომანტიკულ ბურუსში კი არა, მოქალაქეობრივი პოზიციით უნდა შევხედოთ. ხელოვნებაში უნდა გამოიკვეთოს, რომ ბუნების მოვლა-შენახვა ერთეულთა კი არა, საერთო, საქვეყნო საქმეა. უნდა შევქმნათ საზოგადოებრივი გაკიცხვის გარემო ბრაკონიერებისა და მსგავსთა მიმართ. საჭიროა სახალხო ლაშქრობა ბუნების გადასარჩენად.

გ. ხუხაშვილი, მწერალი დრამატურგი:

— ზარი საკმაოდ მძაფრად ახმიანდა. ირღვევა წონასწორობა ადამიანსა და ბუნებას შორის. თითოეული ჩვენგანის ვალია მინდიასავით გასვიცადოთ ყოველი ნაბიჯი ბალახის ბედი. ეწეროთ და ბევრ